CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

~~1 ლარი~~

**70 თეთრი**

N22/2952/ 13 თებერვალი 2014 წ ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

ექსკლუზივი

**რა საკითხზე ჩააგდებინა ხმა ღარიბაშვილმა ევროსაბჭოს პრეზიდენტს?**



**რას დაჰპირდათ ეკა ბესელია „აბუნტებულ“ პატიმრებს?**



**რატომ ვერ დაიცვა მთავარმა პროკურორმა კბილაშვილმა ადვოკატობის დროინდელი კლიენტი?**



ექსკლუზივი

**რომელი ფონდიდან ფინანსდებოდა ვანო ჩხარტიშვილის ბიზნესი?**

**და რა პრეტენზიები აქვთ ეკა ბესელიასთან**





## რა საქმეები შევიდა პროკურატურაში, რის გამოც დავით კირკიტაძეს დაიჭირეს?

## „გადამიაროს მერე ბატონმა ღარიბაშვილმა, რომ ამბობს, პატიმრის გამოხტომებს ვერ ავყვებითო...“



**ნაცემი პატიმრის მეუღლე ბავშვებთან ერთად ციხესთან შიმშილობას იწყებს**

ექსკლუზივი

## რა ქონება არ ჩაწერა მარინე მიზანდარამ ქონებრივ დეკლარაციაში?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რატომ გაჩნდა ხანძარი ტელეანძაზე?



მთაწმინდაზე ტელეანძაზე გაჩენილი ხანძრის გამო რამდენიმე ტელეარხის მაუწყებლობას პრობლემები შეექმნა. დაზიანებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენები. სავარაუდოდ, ხანძარი დაბალი ძაბვის სადენზე დაუდევრობის გამო გაჩნდა. თბილისის მასშტაბით დროებით გათიშულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი.

ადგილზე ტექნიკური ჯგუფი და სახანძრო მანქანები იყო მობილიზებული.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, სადენებს ცეცხლი არ გასჩენია. სამსახურის უფროსის თემურ გიორგაძის განცხადებით, მამადავითის ეკლესიასთან განთავსებულ სადენებზე მოკლე ჩართვა მოხდა. (ფრონტნიუსი)

### „ნაციონალი“ დეპუტატის, აკაკი ბობოხიძის ძმა დააკავეს

წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატის, აკაკი ბობოხიძის ძმა ლევან ბობოხიძე სასამართლოსთვის უპატივცემულობისთვის დააკავეს.

ხონის გამგებლის ზურაბ ჯიბუხაიასა და მისი მოადგილის ბესარიონ ჭელიძის სასამართლო პროცესიდან გამოსულმა ლევან ბობოხიძემ სასამართლოს მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები გამოიყენა, რაც მისი დაკავების საფუძველი გახდა. ბობოხიძის საქმეს ქუთაისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციული წესით განიხილავს. (ინტერპრესნიუსი)

### „თბილისის წყალში“ დაპატიმრებებს უნდა ველოდოთ



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, „თბილისის წყალში“ არსებულ მძიმე სიტუაციაზე პროკურატურამ მუშაობა დაიწყო. „იმდენად კატასტროფული მდგომარეობაა, რომ უკვე აქტიურად მიმდინარეობს კომპანიის გაყიდვის თაობაზე მუშაობა. არაა გამორიცხული, „თბილისის წყალი“ სახელმწიფოს დაუბრუნდეს, ხოლო იმ ზიანის გამო, რაც თბილისელებს მიადგათ, თბილისის წყალში დაპატიმრებებსაც უნდა ველოდოთ“. (ჯი-ეიჩ-ენი)

## დვანის ტერიტორიაზე რუსული ვერტმფრენი გამოჩნდა



ქარელის რაიონში სოფელ დვანის ტერიტორიაზე რუსული ვერტმფრენი გამოჩნდა, რომელიც დვანიდან ცხინვალის მიმართულებით გაფრინდა.

ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ სოჭში მიმდინარე ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, რუსები კვლავ გააქტიურდებიან და სოფლის მიმართულებით საფორტიფიკაციო ნაგებობის მონატაჟს გააგრძელებენ. (ინტერპრესნიუსი)

## გზების დეპარტამენტი სამუშაოების მონიტორინგს ახორციელებს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა საგზაო სამუშაოების მონიტორინგის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სარეაბილიტაციო და სამშენებლო ობიექტებს ათვალიერებს.

დეპარტამენტის ცნობით, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებმა სოსო ქადაგიშვილმა, ნუგზარ გასვიანმა და ვაჟა ფანჩულიძემ თბილისი-სენაკი ლესელიძის საავტომობილო გზის ზაჰესი-ნატახტარის (კმ17-კმ27) მონაკვეთზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

2013 წელს განხორციელდა ზაჰესი-ნატახტრის 8.7 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. ასფალტ-ბეტონის ზედა ფენა განახლდა ახალი ტექნოლოგიით (უმჯობესდება საფარის სასიცოცხლო ციკლი). 2014 წელს აღნიშნულ მონაკვეთზე განხორციელდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გზის მიმდებარე კალაპოტის გამაგრების სამუშაოები.

ასევე, მიმდინარე წელს რეაბილიატაცია ჩაუტარდება აღნიშნულ გზაზე არსებულ 6 ხიდს, 2 გზაგამტარსა და 1 ესტაკადას. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# „გადამიაროს მერე ბატონმა ღარიბაშვილმა, რომ ამბობს, პატიმრის გამოხტომებს ვერ ავყვებითო...“

## ნაცემი პატიმრის მეუღლე ბავშვებთან ერთად ციხესთან შიმშილობას იწყებს

**სასჯელაღსრულების გეგუთის №14 დაწესებულებაში პატიმრის ცემის შესახებ „ალია“ 12 თებერვლის ნომერში უკვე წერდა. ახლა კი გვაცნობეს, რომ მხოლოდ ერთი პატიმარი არ ყოფილა ნაცემი და ამას სასჯელაღსრულება მკაცრად ასაიდუმლოებს.**

**ნანა მჟავანაძე, პატიმარ ᲘᲣᲠᲘ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲐᲫᲘᲡ მეუღლე:**

„11 თებერვალს მქონდა საშუალება, ჩემი მეუღლე მენახა. სასტიკად არის ნაცემი. მან დაასახელა კონკრეტული პირი და ეს არის ციხის რეჟიმის უფროსი რომან ენუქიძე. მან ჩემს მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა საკნის ჩხრეკის დროს. ჩემი მეუღლე არის აჭარელი. როდესაც ენუქიძე საკანს ჩხრეკდა, ჩემს მეუღლეს მიმართა „შე თათაროო“, რაზეც სიტყვიერი შეურაცხყოფითვე უპასუხა ჩემმა მეუღლემ. ამის შემდეგ ენუქიძემ დაუნდობლად სცემა. ჩემი მეუღლე ამბობს, რომ ენუქიძესთან ერთად იმყოფებოდნენ გეგუთის მე-14 დაწესებულების ხელმძღვანელი კახაბერ ბედია და მისი მოადგილე ბესო მაქაცარია, თუმცა მას ფიზიკურად ენუქიძე გაუსწორდა. ჩემს სამ შვილთან ერთად დავიწყებ შიმშილობას ციხესთან, მოვიდეს და გადამიაროს მერე ბატონმა ღარიბაშვილმა, რომ ამბობს, ამა თუ იმ პატიმრის გამოხტომებს ვერ ავყვებითო. იმ ერთეული პატიმრების უკან დგანან მრავალშვილიანი დედები და ოჯახები. რადგან პატიმარია, ამიტომ ცემა და სასტიკად მოპყრობა უნდა აიტანოს? თუ მთელ ციხეს უნდა სცემდნენ, რომ ვინმემ თვალი გაახილოს და დაიწყოს გამოძიება?“ – ამბობს პატიმრის მეუღლე.

**კიდევ ერთი ნაცემი პატიმრის, იმედა ხახუტაიშვილის დედა ᲓᲐᲠᲘᲙᲝ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ „ალიას“ უყვება, რომ მის შვილს აიძულებდნენ კონკრეტული პირების ჩაშვებას და რომ ვერ მიიღეს ინფორმაცია, ამის გამო 32 წლის პატიმარს სასტიკად გაუსწორდნენ.**

– ჩემს შვილს ეუბნებოდნენ, ვიცით შენი ოჯახის პირობები, ისიც ვიცით, რომ გიჭირს და გინდა გახვიდე. ამიტომ თუ გინდა რეკომენდაცია მოგცეთ უდო-ს კომისიასთან, ჩვენთან უნდა ითანამშრომლოო. ჩემმა შვილმა უთხრა, მე რაზე უნდა ვითანამშრომლო ან რატომ უნდა „ჩავუშვა“ ვინმეო, ამის შემდეგ მას სასტიკად გაუსწორდნენ.

**— იცით, ვის „ჩაშვებას“ სთხოვდნენ ან რა უნდა ეთქვა?**

– მე ვერ შევხდი ჯერ ჩემს შვილს, მასთან მხოლოდ სამედიცინო ექსპერტი და გამომძიებელი იყვნენ. ჩვენ ავიყვანეთ ადვოკატი და გაირკვევა, რისთვის სცემეს.

შეგახსენებთ, რომ გეგუთის ციხეში პატიმრებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს და თვითდაზიანება მიიყენეს. პატიმართა მოთხოვნაა, სამსახურიდან გაათავისუფლონ ციხის ის თანამშრომლები, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობდნენ და პატიმრებს აწამებდნენ.

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ციხეში პროცესები გარედან იმართება და რეალურად პატიმრებს ციხეში არანაირი პრობლემა არ აქვთ.

საზოგადოებას კარგად ემახსოვრება ქსნის დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმარი ლევან კორტავა. ინფორმაციის გახმაურების პირველ დღესვე სუბარმა განაცხადა, პატიმარი კიბიდან დაგორდაო, შემდეგ „გამოასწორა“, პატიმრებმა სცემეს კორტავა, ეზო იმხელა ქვებით არის მოხრეშილი, შეიძლება იარაღად დამოიყენესო. ამის შემდეგ საქმეში ერთვება გარდაცვლილის მამიდა, რომელიც კატეგორიულად აცხადებდა, რომ მისი ძმისშვილი ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სცემეს და გვარებიც დაასახელა. საბოლოოდ, გამოძიებამ მამიდის ვერსია დაადასტურა. რამდენიმე პირი პასუხისგებაში მისცეს. სოზარ სუბარის ამ ტყუილის შემდეგ რთულია, ახლაც დავუჯეროთ მინისტრს, რომ ციხეში ყველაფერი კარგად არის და პატიმრები დილა-საღამოს ბულბულის გალობას უსმენენ.

როდესაც სუბარი სახალხო დამცველი იყო, მის ანგარიშებში ყოველთვის ხვდებოდა პატიმრების მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. მაშინ სუბარი მოუწოდებდა პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელობას, რომ პატიმრების ახლობლებსა და უფლებადამცველ ორგანიზაციებს ჰქონოდათ სასჯელმისჯილების მონახულების საშუალება, თუმცა გამინისტრების შემდეგ ყოფილმა სახალხო დამცველმა ციხეებში გააუქმა საზოგადოებრივი მონიტორინგის ფარგლებში ციხეების შემოწმების წესი.

„ალია“ ცდილობდა, გაერკვია, ვინ არიან პატიმრების მიერ ცემაში დადანაშაულებული პირები. ინფორმაციის მისაღებად სასჯელაღსრულების საზოგადებასთან ურთიერთობის სამსახურს მივმართეთ, თუმცა განგვიცხადეს, რომ კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ არ იძლევა საშუალებას, რომ ციხის რომელიმე თანამშრომელზე მოგვაწოდონ ინფორმაცია.

ამის შემდეგ „ალიამ“ სხვა წყაროებით მოიძია ინფორმაციები და აი, რა გავარკვიეთ: რომან ენუქიძე, მეტსახელად „ბალუ“, წლებია გეგუთის მე-14 დაწესებულებაში მუშაობს. „ბალუ“ ერთ-ერთი იყო იმ პირთა შორის, ვინც პატიმრების წამებაში უშუალოდ მონაწილეობდა. რაც შეეხება დაწესებულების დირექტორს კახაბერ ბედიას, ის ჯერ კიდევ 2002 წელს მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილებაში. წინა ხელისუფლების დროს კი კრიმინალურ პოლიციაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. რაც შეეხება ბესო მაქაცარიას. ის კრიმინალური პოლიციის ზუგდიდის სამმართველოს ხელმძღვანელი იყო.

იგეგმება თუ არა სოზარ სუბარის უწყებაში საკადრო პოლიტიკის გადახედვა? ესაუბრნენ თუ არა ხელმძღვანელი პირები იმ ადამიანებს, ვისაც პატიმრები მათდამი არაადამიანურ მოპყრობაში სდებენ ბრალს? რატომ კეთდება განცხადებები, რომ ციხეებში არაფერი ხდება, როცა სახეზეა რამდენიმე ნაცემი პატიმარი? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად „ალიას“ სასჯელაღსრულების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან სურდა გასაუბრება და მასთან დასაკავშირებლად უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელს, თაია მახარაშვილს მივმართეთ. მახარაშვილმა განგვიცხადა, რომ სანამ გამოძიება არ დასრულდება, მანამდე ვერავინ ვერ გააკეთებს კომენტარს. გადაიხედება თუ არა საკადრო პოლიტიკა.

„ალია“ ასევე ცდილობდა რომან ენუქიძის, კახაბერ ბედიას და ბესო მაქაცარიას ფოტოების მოძიებას, თუმცა ინტერნეტსივრცეში არ აღმოჩნდა. მათი ფოტოები არ იძებნება სასჯელაღსრულების სამინისტროს ვებგვერდზეც.

**შორენა გოგოლაძე**
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს სხდომა გაიმართა




იუსტიციის სამინისტროში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა გაიმართა. „საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა?არა ტრეფიკინგთან ბრძოლის სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესება, არამედ ისეთი სტატისტიკის შემუშავება, რომელიც არსებულ ვითარებას ასახავს, და ამ ვითარების გაუმჯობესება. ამ მხრივ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, იმ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რომლებიც მზად არიან, დახმარება აღმოგვიჩინონ ამ კუთხით“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება დანაშაულის პრევენციის პროცესში საინფორმაციო კამპანიასა და საგანმანათლებლო კომპონენტზე გაამახვილა.

უწყებათაშორისმა საბჭომ იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტების შესახებ, რომლის მიზანია მოქმედ კანონმდებლობაში არსებული დეფინიციის რედაქტირება. მოქმედი რედაქცია სამართალდამცავ ორგანოებს ნორმის პრაქტიკაში გამოყენებისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ტრეფიკინგად დაკვალიფიცირების პრობლემას უქმნიდა.

შეხვედრაზე, აგრეთვე, სამართალდამცავი ორგანოებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის პროექტები და საინფორმაციო სტრატეგია განიხილეს, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისთვის მათთვის მისაღები ფორმითა და საშუალებით ტრეფიკინგის საფრთხეების, დანაშაულის პრევენციისა და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის 30% კვლავ დელიმიტაციას ელის



საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის 180-კილომეტრიანი მონაკვეთი ბოლომდე შეჯერებული ამ დრომდე არ არის. ამის შესახებ აზერბაიჯანის კარტოგრაფიისა და მიწის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეემ გარიბ მამედოვმა განაცხადა.

მისი ინფორმაციით, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ტერიტორიის 480 კილომეტრიდან ჯერჯერობით 300-ია შეთანხმებული.

„ჩვენი სპეციალისტები 2-ჯერ იმყოფებოდნენ საქართველოში და განსაზღვრეს ტერიტორია, რომლის ირგვლივაც შეთანხმება იქნა მიღწეული. ამავე დროს, აზერბაიჯანში ქართველი სპეციალისტებიც იმყოფებოდნენ. ჩვენ ვეწვევით საქართველოს, როდესაც კომისია დიპლომატიური არხებით მიგვიწვევს“. – განაცხადა მამედოვმა.

ცნობისთვის, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სიგრძე 480 კილომეტრსა და 7 მოსაზღვრე რაიონს მოიცავს. საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხები სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის – სამონასტრო კომპლექს „დავით გარეჯის“ ბედს ეხება. კომპლექსი თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 კილომეტრში მდებარეობს. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ალია



# რა საქმეები შევიდა პროკურატურაში, რის გამოც დავით კირკიტაძეს დაიჭერენ?

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მთავარ პროკურატურას 20-ზე მეტი საქმე გადაუგზავნა, რომლებიც ეხება ცალკეული ხასიათის დარღვევებს, მათ შორის საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებს, ასევე კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის კანონის დარღვევას და სხვა მშენებლობების ნორმებისა და წესების დარღვევის საკითხებს. „ალიამ“ სამინისტროდან პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეები გამოითხოვა, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ კონკრეტული საჯარო მოხელეები პირადი ინტერესის სასარგებლოდ უკანონოდ აწარმოებდნენ მშენებლობას.

მაგალითად, „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდი საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე, ღერძიდან 31 მეტრისა და 55 მეტრის დაშორებით განთავსებული შენობა-ნაგებობა უკანონოდ არის აშენებული და მის მშენებლობაზე გზების დეპარტამენტს თანხმობა არ გაუცია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილებით აღნიშნულ მონაკვეთზე შენობა-ნაგებობების განთავსება აკრძალული იყო, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, დავით კირკიტაძის მხრიდან მოთხოვნილი იქნა, რომ გაცემულიყო ობიექტის აშენების ნებართვა. დოკუმენტიდან ჩანს, რომ კირკიტაძის მოწადინებით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 ოქტომბრის №1903 განკარგულებით მონაკვეთი, სადაც „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ ავტოსალონი უნდა განთავსებულიყო, ამოღებულ იქნა დაწესებული შეზღუდვიდან.

მორიგი დოკუმენტიდან კი ირკვევა, რომ რუისი-აგარის კმ95-კმ114 მონაკვეთზე დაგეგმილი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის არეალში (ბუფერში) საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 3 ივლისის №03/07/04 და 2012 წლის 28 სექტემბრის №28/09/01 განკარგულებების საფუძველზე, 2012 წლის ივლისსა და 2012 წლის ოქტომბერში ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკებზე: ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელზე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და მთიანეთის რეგიონული სამმართველოს მეორე სამსახურის უფროსის მოადგილის ოჯახის წევრებზე განხორციელდა 23,5 ჰექტარი მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით კვადრატული მეტრის 7 თეთრად პრივატიზება. აღნიშნული პირები კი ამჟამად ითხოვენ კომპენსაციას იმის, გამო, რომ თავის დროზე მათ უკანონოდ მისცეს მიწის ნაკვეთები. ამჟამად ამ ტერიტორიაზე ავტომაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობს.

„ალიასთვის“ მოწოდებული კიდევ ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ და საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ჩაიდინეს კანონდარღვევა, რაც გულისხმობს საქართველოს ბუფერულ ზონებში სხვადასხვა ფირმისთვის ობიექტის მშენებლობაზე ნებართვის გაცემას და, ასევე, ბუფერულ ზონებში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისებას. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2012 წლის 10 ოქტომბერს კირკიტაძემ ვანო მერაბიშვილს მისწერა: „საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №104 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე, რომლებზეც ხორციელდება რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, შეზღუდულია მიწის ნაკვეთების გასხვისება და სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დამტკიცებულია პროექტი და გამოვლენილია სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაცია, რომელიც უკვე ახორციელებს მშენებლობას. ამავდროულად რეგიონში არის ინვესტორების მოთხოვნილება გზის მიმდებარედ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე“.

უფრო მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, კირკიტაძეც მერაბიშვილს სთხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ აკრძალულია მშენებლობა, იქნება მაინც დაუშვათო. მერაბიშვილმა კირკიტაძის წერილს იმით უპასუხა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით №104 განკარგულებაში ცვლილება შევიდა და დადგენილებიდან აკრძალვა ამოიღეს. ამ გზით დავით კირკიტაძემ მერაბიშვილის დახმარებით ნება დართო კერძო ფირმებს, აეშენებინათ ობიექტები ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებში.

ნარმანიას უწყების მხრიდან პროკურატურაში გადაგზავნილ ოცივე საქმის დაკონკრეტებას გაზეთის ფურცლები არ ეყოფა, ამიტომ მოკლედ მოვყვებით იმის შესახებ, რა საქმეები გადაიგზავნა პროკურატურაში.

საქმეებიდან ირკვევა, რომ ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი პირების მხრიდან კერძო კომპანიებზე ზეწოლა სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. კერძოდ, სახელმწიფოსა და კერძო კომპანიას შორის იდებოდა უხარისხო საპროექტო დოკუმენტაცია, რაც მოგვიანებით შესაცვლელი იყო. იმის გამო, რომ კომპანიას დოკუმენტაციის შეცვლა უწევდა, დრო ეკარგებოდათ და დათქმულ ვადებში ველარ ასრულებდნენ სამუშაოს. დამქირავებელი კი კომპანიას აიძულებდა, დათქმულ ვადებში შეესრულებინათ სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში სოლიდური თანხით აჯარიმებდნენ.

პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეები ეხება ასევე გზების რეაბილატაციის დროს დაკარგულ თანხებსა და უხარისხო ასფალტის საფარის დაგებას. საქმეების მიხედვით იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული ყოფილი საჯარო მოხელეების მხრიდან. ესენი არიან მუნიციპალური განვითარების ფონდის მაშინდელი ხელმძღვანელი ლევან ჭიჭინაძე, მისი მოადგილე დავით სირაძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი, ქვემო ქართლის ყოფილი რწმუნებული დავით კირკიტაძე, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი კვაშილავა და იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

## საგანელიძე არჩევნებზე შტაბს აღარ უხელმძღვანელებს



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ადგილობრივი არჩევნებისთვის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობას აღარ აპირებს. საგანელიძე, რომელიც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში საარჩევნო შტაბებს ხელმძღვანელობდა, აცხადებს, რომ საარჩევნო პროცესში აქტიურად ჩაერთვება, მაგრამ არა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის რანგში.

„პოლიტსაბჭოს სხდომაზე განვაცხადე და არავითარ შემთხვევაში არ ვიქნები საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. ამის მიზეზი მარტივია, სწორი არ იქნება, რომ ზედიზედ მესამე არჩევნების ხელმძღვანელი ვიყო. რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს, განახლდეს და გადახალისდეს. შესაბამისად, მართებული იქნება, რომ შტაბის ხელმძღვანელი იყოს სხვა. ამასთანავე, გამორიცხულია, რომ საარჩევნო პროცესში აქტიურად არ ჩავერთო და მთელი ჩემი ენერგია და გამოცდილება შტაბს არ დავახმარო“, – განაცხადა საგანელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## შს მინისტრი თურქეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ზექი ლევენთ გუმრუქჩუსს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათისა იყო. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები და სამომავლო გეგმები განიხილეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის დროებითი მთავრობის ფორმირებას ითხოვენ



12 თებერვალს თბილისის საკრებულოსთან სხდომის პარალელურად, მოძრაობა „ახალგაზრდულმა ცენტრმა“ და სტუდენტურმა საინიციატივო ჯგუფებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები ქალაქის მთავრობის მიერ საკრებულოსთვის შეთავაზებული ბიუჯეტის პროექტს აკრიტიკებდნენ და დედაქალაქის დროებითი მთავრობის ფორმირებას მოითხოვდნენ. „ეს „ნაციონალების“ თავზე მორგებული ბიუჯეტია. დედაქალაქის ამჟამინდელი მთავრობის წევრებს თანამდებობაზე ყოფნის მორალური უფლება არ აქვთ. ქალაქის მთავრობა უნდა გადადგეს და ხალხმა ახალი მთავრობა უნდა აირჩიოს“. – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა. (ინტერპრესნიუსი)

## შოთა მურღულია პოსტიდან მის გადაყენებას უკანონობად მიიჩნევს

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელს, შოთა მურღულიას უფლებამოსილება შეუჩერა. მარგველაშვილმა მერის მოვალეობის შესრულება ქუთაისის მეორე ვიცე-მერს, ნიკო კაჭკაჭიშვილს დაავალა. მურღულია პოსტიდან მის გადაყენებას უკანონობად მიიჩნევს. მისი თქმით, ის არ აპირებს სასამართლოში ჩივილს, რადგან ეს ხარვეზი საკრებულოშივე მოგვარდება.

„ჩემი გადაყენება არის უკანონობა და უკანონობას საკრებულოს წევრები არ დაუშვებენ. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში შეიცვლება“, – აცხადებს მურღულია. (ინტერპრესნიუსი)

## ოდიშარიასა და მისი მოადგილეების ვიზიტებზე 183 316.62 ლარი დაიხარჯა




ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2013 წლის განმავლობაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისა და მისი მოადგილეების სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია სამინისტროდან გამოითხოვა. როგორც ირკვევა, გასული წლის განმავლობაში კულტურის მინისტრისა და მისი მოადგილეების საზღვარგარეთის ვიზიტებზე ბიუჯეტიდან სულ დახარჯულია 183 316.62 ლარი.

ყველაზე დიდი სამივლინებო ხარჯები კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას და მის პირველ მოადგილე მარინე მიზანდარის უცხოურ ვიზიტებზე იქნა გაწეული.

„ფრანკფურტში ვიზიტისას მინისტრი და მისი ორი მოადგილე იმყოფებოდნენ სასტუმრო „ლე მერიდიენში“, სადაც გატარებული 3 ღამე სახელმწიფო ბიუჯეტს 16 488 ლარი დაუჯდა. ინსტიტუტი დაინტერესდა სასტუმრო „ლე მერიდიენის“ ფასებითა და პირობებით. როგორც ოფიციალური ვებ-გვერდიდან ირკვევა, სასტუმროს ყველაზე ძვირადღირებული, 40-45 კვ.მ-ის ფართობის მქონე Junior Suite-ის ფასია 459 ევრო, რაც საქართველოს დელეგაციის მიერ ერთ ღამეში გადახდილ თანხაზე 356 ევროთი ნაკლებია. დაჯავშნის მცდელობისას ყველაზე ძვირადღირებული ნომრის საფასურად 369 ევროა მითითებული. (ინტერპრესნიუსი)

## ტყიბულში წარმატებული მოსწავლეები დააჯილდოვეს



ტყიბულში საჯარო სკოლების გასული სასწავლო წლის 60-მდე წარმატებულ მოსწავლეს, მათ მშობლებსა და სკოლის დირექტორებს საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა და სიგელები გადაეცათ.

9 კურსდამთავრებულს ოქროს და 10 კურსდამთავრებულს ვერცხლის მედლები, მხატვრული ლიტერატურა და სიგელები, ტყიბულის მაჟორიტარმა ელისო ჩაფიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობასთან ერთად გადასცა. (ინტერპრესნიუსი)

## შსს-ს მაღალჩინოსანი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს შესყიდვების სამმართველოს უფროსი გიორგი ბაჯელიძე დააკავეს. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, ბაჯელიძე, რომელიც შსს-ს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ხელმძღვანელობდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დააკავეს.

„შსს-ს გენინსპექციის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დაკავებულია შსს-ს საფინანსო სამეურნეო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი გიორგი ბაჯელიძე.

მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები“, – განაცხადა გიორგობიანმა. (ინტერპრესნიუსი)

# რა მეთოდით დაიწყეს „ნაციონალებმა“ სააკაშვილის გაპიარება?





სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბათუმში რამდენიმე ადგილას გაჩნდა წარწერა „ბოდიში, მიშა“. წყაროს ინფორმაციით, აჭარაში და კერძოდ, ბათუმში, დიდი იმედგაცრუებები და უკმაყოფილებაა ახალი ხელისუფლების მიმართ და აკონკრეტებს: „მიზეზებში წამყვანი ადგილი უკავია მანდარინის თემას და ზამთარში ელექტროენერგიის გათიშვას. არის სხვა თემებიც, რაც ერთობლიობაში უკმაყოფილების მუხტს ნელ-ნელა და სტაბილურად ათუხთუხებს“.

**რამდენად მართალია ინფორმაცია და რა არის ის სხვა თემები, რაც „ერთობლიობაში უკმაყოფილების მუხტს სტაბილურად ათუხთუხებს“?**

**„ალია“ კომენტარისთვის უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძეს დაუკავშირდა:**

– უკმაყოფილება ნამდვილად არის, ვადასტურებ და ეს ის თემაა, რასაც ჩვენც ვამბობთ, ესაა ციტრუსის თემა, საკადრო პოლიტიკა და სოციალურად დაუცველების თემა. ანუ, ძალიან ბევრი თემაა, რის მიხედვითაც ხალხი ვერ გრძნობს, რომ ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო მსჯელობა, არათუ მოქმედება, მაგრამ ერთ რამე შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ მიშას ბოდიშს ამის გამო არავინ უხდის და არც განწყობაა საბოდიშო. ეს პრობლემები არის წინა ხელისუფლების მიერ დაგროვილი და არგადაწყვეტილი. ეს ყველაფერი ერთბაშად არ გაჩენილა და მიშა 9-წლიანი მმართველობის დროს აჭარას მთელ საქართველოსთან ერთად რომ აცხოვრებდა, ეს მაშინ დაგროვდა და ახლა ერთბაშად გამოჩნდა. რა თქმა უნდა, ამ ახლებს ძალიან ცუდი მემკვიდრეობა დახვდათ და ერთბაშად ყველა პრობლემის მოგვარება ძალიან ძნელია. რა შორს წავიდე, ეკომიგრანტების პრობლემა ავიღოთ, რა, მიშა სააკაშვილი არ იყო, აჭარლები რომ წაიყვანა, 2500 ოჯახი რომ ჩაასახლა წალკაში და უთხრა, ყველა სახლკარს მიიღებსო და აღმოჩნდა, რომ არც ერთმა არ მიიღო დაპირება? ახლა იძულებულები არიან, რომ ეს ხალხი წამოვიდეს უკან. მე ამ ახალი ხელისუფლების ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ეტყობა, ეს სიტუაცია ვიღაცამ გამოიყენა და თქვა, თითქოს ბათუმი ბოდიშს უხდის მიშას.

— **არა?**

– რა ბოდიში? არ დაიჯეროთ! ბათუმი და აჭარა არასოდეს სააკაშვილს ბოდიშს არ მოუხდის, იმიტომ, რომ თვითონ სააკაშვილმა თუ აფხაზეთი და ოსეთი რუსებს გადააბარა, ბათუმი და მთელი აჭარა ჩააბარა თურქებს სრულიად მშვიდობიანად და რისთვის უხდიან ბოდიშს, რომ თურქი გვაზის თავზე ბათუმში? რომ ყველა ინვესტიცია და საერთოდ, ყველაფერი მაგათ ხელშია? ჩვენ ნამდვილად არ ვართ ინვესტიციების წინააღმდეგი, მაგრამ რატომ უნდა იყოს მეზობელი ქვეყნის ინვესტიციები და ბიზნესი უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ვიდრე აჭარელი ბიზნესმენები? მიშა სააკაშვილის დროს არ იყო, რომ ციტრუსი მათი მაფიოზური კლანის მმართველობის ქვეშ იყო? თუნდაც იგივე იპოთეკარების პრობლემა მაშინ არ დაიწყო? იცით თუ არა თქვენ, რომ ყველა ბანკის დავალიანების მქონე ოჯახი სააკაშვილის დროს იქნა გაკოტრებული მისი საფინანსო და საბანკო პოლიტიკის შედეგად და ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად? ამის გამო ვუხდით თურმე ბოდიშს?

— **სისხლის სამართლის პოლიტიკა რა შუაშია?**

– ამ ოჯახებში უმეტესობას პატიმრები ჰყავდათ ციხეებში გამომწყვდეული და იძულებულები იყვნენ, თავისი ქონება ჩაედოთ, რომ თავისიანის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. კიდევ გავაგრძელო? ამისთვის უხდიან ბოდიშს? ეგ წარწერა „ნაციონალებისა“ და მათი არასამთავრობოების ხუშტურებია, დადიან და სადღაც წარწერები გააკეთეს. არავინ არ დაიჯეროს საქართველოში, რომ ბათუმში ვინმე სააკაშვილს ბოდიშს უხდის. პირიქით, ყველაზე მეტად მიშას ბათუმმა უთხრა უარი და სანაგვეზე ბათუმმა გაუშვა.

— **ეტყობა, ვიღაცას მართლა სჭირდება, ეს წარწერა იყოს ბათუმში.**

– ეგ სჭირდება „ნაციონალურ მოძრაობას“, ეგენი ამჟამად ძალიან არიან გააქტიურებულები, დადიან სოფლებში და ხალხს ეუბნებიან, აი, რამხელა პრობლემებიაო. თვითონ რომ ვერ მოაგვარეს იგივე წყლის, იგივე გზის, იგივე ელექტროენერგიის პრობლემები, გამოდიან ვითომ ხალხის უფლებადამცველებად. ასე რომ, ასეთი წარწერები გაჩნდება და მათი ავტორები იქნებიან, ისევ აფერისტები, ავანტიურისტები და მაგათი დამქაშები.

— **ამ „ნიუსს“ იცით, კომენტარად რა აქვს მიწერილი? ეს „რესპების“ საქმეაო.**

– „რესპუბლიკელებსა“ და „ნაციონალებს“ შორის განსხვავებას ვერ ვხედავდი, ვერ ვხედავ და ვერც დავინახავ ვერასდროს, არაფერსაც არ გამოვრიცხავ. ერთია ეგენი. ერთად ანგრევდნენ ქვეყანას და კიდევ დაანგრევენ მომავალში. საკანონმდებლო ორგანო და აღმასრულებელი ორგანო არის დაპირისპირებული, საკანონმდებლო ორგანო რესპუბლიკელებისაა, აღმასრულებელი „ოცნებაა“ და ლაპარაკი მიდის, ვინ უფრო მეტ ხმას გაიყვანს, ვინ უფრო მეტ გავლენის სფეროს მოიპოვებს აჭარაში და ფაქტობრივად, ხალხისთვის არავის სცალია.

საკადრო პოლიტიკა განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს რეგიონში: იგივე შინაგან საქმეთა მინისტრი არაადგილობრივია, საპატრულო პოლიციის უფროსი არაადგილობრივია, საბაჟოს უფროსი არაადგილობრივია, ყველანი ესენი მოწვეული თბილისელი კადრები არიან და რის თქმა მინდა, იცით? აფხაზეთთან მდგომარეობა მაგით დაგვემაბა, რომ აფხაზმა საზოგადოებამ პროტესტი გამოხატა მათთვის თავსმოხვეული კადრების გამო. იგივე პროცესია ახლაც და რა გამოდის? რომ აჭარლებმა არ იციან წერა-კითხვა და აჭარელს თანამდებობა არ ეკუთვნის? აჭარელს მარტო თოხი და ბარი უნდა ეკავოს ხელში და მეტი არაფერი? ეს არის შეურაცხყოფა ჩვენი.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიორგაძის გადადგომას ითხოვენ



საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები საპროტესტო აქციას მართავენ. აქციის მონაწილეები სააგენტოს უფროსის, თემურ გიორგაძისა და მისი დისშვილის, ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების უფროსის ლევან ჩხიკვაძის გადადგომას ითხოვენ. გიორგაძეს არასწორ მენეჯმენტში, თანამშრომლების უკანონო განთავისუფლებასა და პროფკავშირების დევნაში ადანაშაულებენ. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ნუგზარ ჭინჭარაულმა განაცხადა, აქცია იმართება იმ ადამიანების მხარდაჭერით, რომლებიც სამსახურებიდან გაათავისუფლეს.

აქციის მონაწილეებმა კარავი გაშალეს საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წინ. როგორც ცნობილი გახდა, გათავისუფლებულ ავთანდილ მეგრელიშვილთან ერთად 4 მოქმედი თანამშრომელი დაიწყებს შიმშილობას და დანარჩენები მათ შემდგომ შეუერთდებიან. მათი ინფორმაციით, შიმშილობა იქამდე გასტანს, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება და გიორგაძე და მისი დისშვილი თანამდებობიდან არ განთავისუფლდებიან.

გიორგაძე აქციას გამოეხმაურა და განაცხადა: „ჩვენი სამსახური არის 1200-კოლექტივიანი და ნუ ლაპარაკობენ ყველას სახელით. ილაპარაკონ თავიანთ თავზე კონკრეტულად რაც უნდათ. 1200-კაციან კოლექტივში, 30 კაცის გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის ჩემი გადადგომა. როდესაც მოითხოვს 200-300 კაცი ჩემს გადადგომას, მაშინ წავალ“, – განაცხადა გიორგაძემ.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეებმა სასამართლოს იმიტომ არ მიმართეს, რომ ზუსტად იციან სასამართლოში პრობლემები შეექმნებათ.

„წაიღონ სასამართლოში და იქ განიხილავს სასამართლო საქმეს. თუ მართლები არიან, აღადგენენ და დაბრუნდებიან სამსახურში, მაგრამ ზუსტად იციან, რომ პრობლემები შეექმნებათ“, – აღნიშნა გიორგაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიერი არარეალურად მაღალი ხელფასებით დაინტერესდა



სახელმწიფო კანცელარიაში ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაინტერესდა, რატომ აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და სახელმწიფო შპს-ს თანამშრომელთა დიდ ნაწილს არარეალურად მაღალი ხელფასი.

ამ კითხვაზე პასუხი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან მოითხოვა. პრემიერი გამოვიდა ინიციატივით, დროულად მოხდეს ხელფასის საკითხისადმი რაციონალური მიდგომა და სწრაფად აღმოიფხვრას წლების განმავლობაში არსებული მანკიერი დამოკიდებულება. სხდომაზე ასევე განიხილეს ადგილობრივი წარმოების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

„აწარმოე ქართული“ – ეს არის პრემიერის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი წარმოების, მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობას. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# ბანკებს არასაბანკო ბიზნესების ჩამორთმევას უპირებენ?

13 თებერვალს ეკონომიკის ექსპერტების ნაწილი ხელისუფლებას კომერციული ბანკებისთვის არასაბანკო და არაპროფილური საქმიანობის აკრძალვის წინადადებით მიმართავს. კონკრეტულ პრობლემებზე ლევან კალანდაძე, ირაკლი ლექვინაძე, ლევან ალაფიშვილი და გიორგი აბაშიშვილი პრესკონფერენციაზე ისაუბრებენ. „ბოლო დროს, აშკარად ფიქსირდება ტენდენცია – კომერციული ბანკების და მათთან კავშირში მყოფი სუბიექტების მხრიდან ადგილი აქვს მცდელობებს, რიგი ბიზნეს მიმართულებები ექსკლუზიურად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარონ. შესაბამისად, პირდაპირ ან ირიბად თავად შექმნან და თავადვე მართონ არაპროფილური კომპანიები და ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე მოიპოვონ დომინანტური საბაზრო ძალაუფლება. ეს, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება ზოგადად საბაზრო ურთიერთობებზე და გამოიწვევს როგორც კონკურენტული გარემოს მნიშვნელოვან შეზღუდვას ბიზნესის რიგ სფეროებში, ასევე მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე წვდომას“.

**„ალია“ კომენტარისთვის ირაკლი ლექვინაძეს დაუკავშირდა:**

– საბანკო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სექტორია და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში და ზოგადად, ეკონომიკაში საკმაოდ დიდია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიდი წილისა და დიდი კონცენტრაციის გამო ჩნდება საფრთხეები, რომ ბანკებმა მოიპოვეს ძალიან ბევრი არაპროფილური აქტივი, რომელიც შეიძლება, პირდაპირ, ან ირიბად იყოს დაკავშირებული მათ საქმიანობასთან და ეკონომიკაში ამ კონცენტრაციის გამო მათ უკვე აქვთ ბერკეტები, გავლენა მოახდინონ სხვა ბიზნესსექტორების საქმიანობაზე.

**— დააზუსტეთ, რა ბიზნეს მიმართულებებზეა ლაპარაკი?**

– საუბარია ბანკების მიერ ისეთ არაპროფილურ აქტივების წვდომაზე, როგორიცაა სამშენებლო ბიზნესი და სხვადასხვა. კანონმდებლობაშიც არის ხარვეზები, რაც ბანკებს აძლევს უპირატეს მდგომარეობას. ესაა სესხი, რომლითაც სარგებლობენ ის კომპანიები და ამ სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკს აქვს ყველა ბერკეტი, გამარტივებული წესით, მოახდინოს ამ კომპანიების მფლობელობაში წაღება. ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ, რომ ბიზნესსექტორი იყოს უფრო ჯანსაღი და კონკურენცია – უფრო აქტიური, რეალურად, ეკონომიკა ვითარდებოდეს და არა მხოლოდ ერთი სექტორი იყოს გაძლიერებული სხვა სექტორების ხარჯზე. გვაქვს რიგი საკითხები და რიგი შეთავაზებები, რაც 13 თებერვალს გაჟღერდება და ამ შეთავაზებებს წერილის სახით გავუგზავნით პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარესა და ასევე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, ბანკები ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს და საბროკერო კომპანიებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ორი სექტორის გარდა, ჩვენთანაც ნებისმიერ სექტორში არაპლოფილური აქტივების ფლობა უნდა იყოს ძალიან შეზღუდული.

**— რათა არ მოხდეს ინტერესთა კონფლიქტი?**

– დიახ, ნამდვილად. მაგალითად, ბანკს ჰქონდეს საკუთარი სამშენებლო კომპანია და ამავე დროს სხვა კომპანიას ჰქონდეს სესხი ამ ბანკში და მერე მოხდეს ინტერესთა კონფლიქტი...

**— მაგ ბიზნესში დასაქმებული ბანკები როგორ შეუქმნიან სხვა კომპანიებს პრობლემებს, მარტივ ენაზე ავხსნათ.**

– წარმოიდგინეთ, რომ ვარ ბანკი, მაქვს საკუთარი ბიზნესკომპანია და არსებობს, აგრეთვე, ამ პროფილის სხვა კომპანია, რომელიც არც ერთი ბანკის მფლობელობაში არ შედის. რა თქმა უნდა, ბაზარზე უპირატეს მდგომარეობაში ყოველთვის იქნება ბანკის მფლობელობაში მყოფი ბიზნესი, მისთვის სესხიც ბევრად იაფი იქნება, ვიდრე იმ კომპანიისთვის, რომელიც არ არის ბანკის მფლობელობაში. ამიტომ, ეს არაკონკურენტული რეჟიმი რომ არ იყოს ბაზარზე, ამისთვის ვთვლით, რომ ყველა სუბიექტი არასაფინანსო სექტორის გარდა, არ უნდა იყოს ბანკების მფლობელობაში. აქტივებს რაც შეეხება, რომელიც დღეს ბანკების მფლობელობაშია, მიეცეთ ბანკებს გონივრული ვადა ამ აქტივების რეალიზაციისთვის. დღეს არის გარკვეული საკანონმდებლო ნორმები ამ კუთხით, თუმცა ეს არ არის საკმარისი.

**— კონკრეტულად დამისახელებთ იმ ბანკებს, ვინც ამითაა დაკავებული?**

– არაპროფილური აქტივების წილი მთლიანობაში დიდი არ არის, 3%-მდეა ეკონომიკაში, მაგრამ ეს 3 პროცენტი საკმაოდ მოცულობითია სხვა ბიზნესებთან შედარებით.

**— დამისახელებთ ბანკებს?**

– დაახლოებით სამი-ოთხი ლიდერი ბანკია, რომელიც გამოირჩევა ამ არაპლოფილური აქტივების ფლობით. კონკრეტულად დღეს მათ არ ვასახელებ.

**— კი, მაგრამ იმ კომპანიებმა სხვა ბანკებიდან რომ გამოიტანონ კრედიტი, ამას ხომ არ კრძალავს კანონი და რატომ არ უნდა ისარგებლონ ამ მდგომარეობით?**

– კი, შეუძლიათ, სხვა ბანკებიდან გამოიტანონ კრედიტი, მაგრამ მთლიანობაში ბაზარზე კონკურენციის თვალსაზრისით, აქ არაა მიზანშეწონილი, რომ არაპროფილური აქტივების დიდი წილი არსებობდეს ბაზარზე, დღეს ეს ქმნის პრობლემას და ჩვენ ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ.

**— ანუ, გინდათ თქვათ, რომ ეს ზღუდავს კონკურენციას?**

– კი, ნამდვილად, რიგ შემთხვევაში.

**— კი, მაგრამ ამას კანონი ხომ არ კრძალავს? ეს ხომ არ ითვლება კანონდარღვევად?**

– კი, დღეს არ კრძალავს, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა იყოს საკმაოდ სერიოზული შეზღუდვები ამ კუთხით, რომ ბაზარზე უნდა იყოს კეთილსინდისიერი კონკურენცია და კიდევ ვიმეორებ, რადგან ბანკის მფლობელობაშია სერიოზული ბიზნესი, ის ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაში იქნება სხვასთან შედარებით.

ჩვენ გავიარეთ კონსულტაციები საკმაოდ ბევრ ექსპერტთან, ეს არ არის კაბალური რეგულაციები, ეს იქნება ოპტიმალური შეთავაზებები, გადავაგზავნით ჩვენს წერილს და უკვე დაველოდებით პასუხს. ჩვენ იმიტომაც დავიწყეთ ამაზე მუშაობა, რომ ეს ქმნის რეალურ პრობლემას ქართულ ეკონომიკაში. ბანკებს დღევანდელი კანონმდებლობა აძლევათ საშუალებას, მოახდინონ საკუთარი ძალის დემონსტრირება ბევრ ბიზნესთან მიმართებაში და საშუალება აქვთ, ხელში ჩაიგდონ სხვადასხვა ბიზნესები მათზე დამოკიდებული სესხის კუთხით და ეს უსამართლობაა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

## „უკვდავთა თაღში“ პაატა ბურჭულაძემ ხელის ანაბეჭდი დატოვა



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის „უკვდავთა თაღში“, მომღერლისა და საზოგადო მოღვაწის, პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდები გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს ქართველი ცნობილი ხელოვანები და მთავრობის წევრები ესწრებოდნენ.

„ძალიან ამაღელვებელი დღეა ჩემთვის. ავსტრიიდან ჩამოვიდა ჯილდო, კულტურის სამინისტროში მივიღე ჯილდო და ასევე, დიდი პატივია ხელის ანაბეჭდი, მითუმეტეს ოთარ მეღვინეთუხუცესის, გივი ბერიკაშვილის, კახი კავსაძისა და ელდარ შენგელაიას გვერდით. მადლობა ყველას, ვინც ამის ღირსად ჩამთვალა და ჩემთან ერთად გაიზიარა ეს დიდი სიყვარული“, – აღნიშნა ბურჭულაძემ.

საქართველოს კულტურის მინისტრის, გურამ ოდიშარიას თქმით, ეს დღე შესანიშნავია ყველასთვის.

„პაატა ბურჭულაძის დაბადების დღეა. წელი გამოვაცხადეთ ოპერის წლად და ძალიან კარგად დაგვებედა ეს დღე. გვქონდა პატივი, სამინისტროში მიგვეღო პაატა ბურჭულაძე თავის მეგობრებთან ერთად, ასევე გვესტუმრა ავსტრიის დელეგაცია, რომელმაც პაატა ბურჭულაძეს ავსტრიის სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო გადასცა. კულტურის სამინისტრო ასევე ხელდამშვენებული დავხვდით და ხელოვნების ქურუმის ჯილდო გადავეცით პაატა ბურჭულაძეს. დღეს ვართ ამ მუზეუმში, სადაც შესანიშნავი ტრადიცია ჩამოყალიბდა და ანაბეჭდებს ტოვებენ ჩვენი ქვეყნის დიდი შვილები. ბატონ პაატას ანაბეჭდიც დღეს აქ სამუდამოდ აისახება“, – აღნიშნა ოდიშარიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასამართლომ მსჯავრდადადებული სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა



უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, მსჯავრდადებული ა.ხ. სასამართლოს სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განაჩენით ა.ხ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 108-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დატოვებულ იქნა უცვლელად.

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ მსჯავრდადებულმა ა.ხ-მ ჩაიდინა არა განზრახ მკვლელობის მცდელობა, არამედ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით და მსჯავრდადებულს დანიშნული სასჯელი 1 წლამდე შეუმცირა. მსჯავრდადებული ა.ხ-ა განთავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისის საკრებულომ ბიუჯეტის პროექტი მეორედაც არ დაამტკიცა



თბილისის საკრებულომ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი არ დაამტკიცა. საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის მიღებას მხარი დაუჭირა 17-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ წავიდა 22 დეპუტატი. საკითხის მიღებისთვის კვორუმი შეადგენდა 24-ს. კენჭისყრაში საკრებულოს 39 დეპუტატი მონაწილეობდა.

საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, თბილისის 2014 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი აბსურდია და მისი მიღება გაუმართლებელია.

შიხიაშვილის შეფასებით, რეალურად ეს არის უტოპიური ბიუჯეტი, რისი შესრულებაც მოუწევს დედაქალაქის ახალ მთავრობას, რომელიც მაისის შემდეგ უნდა მოვიდეს არჩევნებით ხელისუფლებაში. „ეს იქნება თბილისის ახალი მთავრობისთვის დიდი ტვირთი. ის ვერ შეასრულებს ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ ამოცანებს და მოსახლეობას დიდი პრობლემები შეექმნება“, – აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

ბიუჯეტი განსახილველად სხდომაზე გაიტანა თბილისის მერის მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა. მისი თქმით, საკრებულოს მიერ შეთავაზებული 55 თემა აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებულია. დაფინანსების წყაროს შესახებ კი აღნიშნა, რომ პრივატიზაციის მეშვეობით თანხების მობილიზაცია შესაძლებელია და ეს 850-მილიონიანი ბიუჯეტი ბლეფი არ არის. კანონის თანახმად, დედაქალაქის ახალი, 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა 11 მარტამდე უნდა მოხდეს. (ინტერპრესნიუსი)

## ირაკლი ღარიბაშვილი ოპოზიციას სიურპრიზს უმზადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თვითმმართველობის რეფორმით კმაყოფილია. მისი მტკიცებით, საკრებულოს წევრთა პროპორციული სიის რაოდენობის 10-დან 15-მდე გაზრდა სხვა პარტიებს, პირველ რიგში კი, არასაპარლამენტო ოპოზიციას ბარიერის გადალახვისა და საკრებულოში საკუთარი წარმომადგენლების შეყვანის რეალურ საშუალებას მისცემს.

„რომელი ხელისუფლება გააკეთებდა ამას საქართველოში, რომელი იზრუნებდა ოპოზიციაზე. ჩვენ გვაქვს კიდევ რამდენიმე სიურპრიზი ოპოზიციისთვის. მე არ მინდა, გავუსწრო მოვლენებს. მსჯელობა მიდის დაფინანსებაზე. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები იღებენ დაფინანსებას. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები, რომ გარკვეულ პარტიებს მიეცეთ ერთჯერადი, საკმაოდ სოლიდური დაფინანსება. შემდეგ უკვე ყოველწლიური დაფინანსება. ეს არის რევოლუციური ამბავი“, – ამტკიცებს პრემიერი. (ინტერპრესნიუსი)

## სოჭში ნოდარ ქუმარიტაშვილს გაიხსენებენ

ნოდარ ქუმარიტაშვილს ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქში გამართულ ციგის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გაიხსენებენ. კანადაში კი ქართველი ემიგრანტები უისტლერის საციგაო ცენტრში შეიკრიბებიან, სადაც 2010 წელს ტრაგედია მოხდა.

შეგახსენებთ, რომ 21 წლის ნოდარ ქუმარიტაშვილი 4 წლის წინათ ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე დაიღუპა.

სპორტსმენმა უისტლერის ოლიმპიურ ტრასაზე ერთ-ერთი ბოლო სავარჯიშო დაშვების დროს მართვა დაკარგა, მოძრავი ციგა ტრასის ბორტს შეეჯახა, ქუმარიტაშვილი ციგიდან გადმოვარდა და ტრასიდან მოშორებით, ლითონის კონსტრუქციას შეეჯახა. მოციგავე საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. (პირველი)



# რატომ ვერ დაიცვა მთავარმა პროკურორმა კბილაშვილმა ადვოკატობის დროინდელი კლიენტი?

**ჯერ ირაკლი ოქრუაშვილმა, მერე კი ვანო მერაბიშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა „ინჟმშენს“ სამუშაოები შეასრულებინეს, რა დროსაც საკმაოდ სოლიდური თანხა იქნა „გათეთრებული“. როგორც „ნაციონალებს“ სჩვევიათ, შემდეგ ფულში „გადააგდეს“, თანხა ვალად დააწერეს და აქეთ დააკისრეს ჯარიმები. დაწიოკებული კომპანია დღემდე რეპრესიების მსხვერპლია და საურავები დღესაც ერიცხება.**

**„ალიას“ „ინჟმშენის“ გენერალური დირექტორი, ნიკოლოზ შარაბიძე ესაუბრა:**

**— საურავები რა დავალიანებაზე გერიცხებათ, სახელმწიფოს ვალი გაქვთ?**

– კი, არის გარკვეული თანხა, რომელიც თავის დროზე ვერ გადავიხადეთ იმის გამო, რომ „ნაციონალებმა“ ყველა საწარმო დაგვიყადაღეს, დღემდე ასეა. ხელისუფლებას სწორედ ამას ვთხოვთ, შეისწავლონ ჩვენი საკითხი და მოგვიხსნან უკანონოდ დადებული ყადაღა, რომ მუშაობა გავაგრძელოთ და ვალები დავფაროთ.

**— ხელისუფლების წარმომადგენელთან თუ გქონდა შეხვედრა და რა პასუხი მიიღეთ?**

– ახალ მთავრობაში ჩვენი ტრესტის ადვოკატი იყო არჩილ კბილაშვილი. არჩილმა ყველაფერი იცოდა, იქ სხვა ეპიზოდებიც იყო, მაგალითად, ენერგეტიკის სამინისტრომ არ გადაგვიხადა კიდევ მილიონ ნახევარი მერე გვიჩივლა, ჩვენც ვუჩივლეთ და მოვიგეთ საქმე. მერე როცა უკვე კბილაშვილს მთავარ პროკურორად ნიშნავდნენ, მივედი და ვუთხარი, ხომ იცით, როგორ მდგომარეობაში ვართ-მეთქი? კიო, შემოიტანეთო ყველაფერი, შენი ადვოკატი ვიყავი, მე თვითონ არ ავიღებ ამ საქმეს, მაგრამ ვინმე ნეიტრალურ ადვოკატს დავავალებო. როგორც თქვენ არ დაგივალებიათ არაფერი, ისე იმას არ დაუვალებია. ორი თვის მერე კიდევ მივედი, ვკითხე, რას გვიშვრებით-მეთქი, კიდევ რაღაცებს დაგვპირდა, მაგრამ აბსოლუტურად არაფერი.

**— რამდენი გადაუხადეთ არჩილ კბილაშვილს, როგორც თქვენს ადვოკატს და რამდენ ხანს იყო თქვენი ადვოკატი?**

– ჩვენ კბილაშვილს ვუხდიდით ყოველთვიურად 1200 ლარს და ზოგიერთ საქმეზე ხელშეკრულებაც გვქონდა გაფორმებული, რომ, თუ მოიგებდა, მერე კიდევ დამატებით თანხას მივცემდით.

**— ახლა რა მდგომარეობაში ხართ, პროკურატურაში არ შეიტანეთ საქმე?**

– ახლა ვართ გაჭედილი, დაყადაღებული გვაქვს ყველაფერი და საერთოდ გაცამტვერებას გვიპირებენ. ჩვენი ქონების ნაწილი უკვე წაიღეს, ახლა სახლი და კარიც უნდათ რომ წაიღონ და დავრჩებით ასე. პროკურატურაში მაქვს საქმე გადაგზავნილი, ათგვერდიანი საჩივარია და დანარჩენი საბუთებია მიკრული. შეტანილი კი მაქვს ასე ოთხი სარჩელი პროკურატურაში. კიდევ დავამატებ, რომ, როცა „ნაციონალებმა“ უკანონოდ დამაპატიმრეს, ციხიდან გირაოთი გამომიშვეს 1 მილიონის სანაცვლოდ, მაშინ ფული არ გადამიხდია, რადგან არ მქონდა თანხა და შეიძლებოდა ნებისმიერ დღეს დავეჭირე. ერთ დღეს დამიძახეს და მითხრეს, რომ ქალაქის პროკურატურა, შავი შენობა რომაა, ეგ უნდა ამეშენებინა ქველმოქმედებით. დამაწერინეს განცხადება, რომელშიც ვითხოვდი, რომ ქველმოქმედებით ამეშენებინა ეს შენობა, დამეხმარნენ მერე, რომ სესხი ამეღო ერთი მილიონი გირაოს გადასახდელად. იქაც 700-800 ათასის სამუშაო შევუსრულე საჩუქრად. ამას დამატებული ისიც, რომ ის გადახდილი მილიონი არც ჩამითვალეს გირაოში. აი, ასე მომექცნენ „ნაციონალები“. ახალ მთავრობას ბევრჯერ ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ძველი მთავრობის რეპრესიები შეეჩერებინათ, პირიქით, ისევ და ისევ მოდის ჯარიმები კიდევ ახალ ვალებს გვიმატებენ. ჯარიმები და საურავები გვერიცხება იმიტომ, რომ ვალები გვაქვს და ვერ ვიხდით. თუ რაღაც პატარა თანხა შემოგვივა, ვიხდით. ამ სახელმწიფოს ვალებს კი ვიხდით როგორმე, მაგრამ საკმაოდ სოლიდური ვალები გვაქვს იმ კომპანიების, რომლებთანაც ვმუშაობდით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, და იმას ვერ ვიხდით, ამიტომ გვადევს ყადაღა. თუ ცოტა თავისუფლება არ მოგვცეს და არ გვამუშავეს, როგორ გადავიხადოთ? წვრილმანებს ვიკენკებით, რომ ეს ჯარიმები მაინც დავფაროთ, თორემ ძველ ვალებს როგორ გადავიხდით, კაცმა არ იცის.

**„ალია“ კომენტარისთვის ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა. გიორგი გრძელიშვილმა განაცხადა, რომ ამ ადამიანის შესახებ მისი უწყება არ არის უფლებამოსილი, რის შემდეგაც ჩვენ შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ხატია მოისწრაფიშვილს დაუკავშირდით რომელმაც პასუხი წერილობით გამოგვიგზავნა.**

„ჩვენ გადავამოწმეთ ინფორმაცია ნიკოლოზ შარაბიძის შესახებ. შემოსავლების სამსახურის ერთიან ბაზაში ირიცხება. 10.02.2014 წლის მდგომარეობით შარაბიძის დავალიანება შეადგენს 9 361 ლარს.

დავალიანება წარმოშობილია 2014 წლის 15 იანვრიდან, დღგ-ს დეკლარაციით დარიცხული მიმდინარე გადასახადის გადაუხდელობის გამო.

17.01.2014 წ. ვრცელდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება.

29.01.2014 წ. წარდგენილია საინკასო დავალებები.

შემოსავლების სამსახურის ერთიანი კომპიუტერული ბაზისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირთა რეესტრის მონაცემებით გადამხდელი არის აქტიური, არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი“.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

## დიალოგი ტერიტორიული პრობლემების მოგვარებით უნდა დაიწყოს



იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის აზრით, თუკი საქართველო და რუსეთი კონკრეტულ პრობლემებზე სასაუბროდ მზად იქნებიან, მაშინ ამ ქვეყნების პირველი პირების შეხვედრა აზრს მოკლებული არ იქნება. „რუსეთთან ომის რიტორიკა შეწყვეტილია, მაგრამ ჩვენ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემები გვაქვს და ის უნდა მოგვარდეს. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება, მაგრამ მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი მაინც დაიწყოს“. – აცხადებს წულუკიანი. (ფრონტნიუსი)

## პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე რამდენიმე ადამიანი დააკავეს

შსს-ს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ბათუმში რამდენიმე ადგილას ერთდროულად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე დააკავეს: სასტუმრო „იქსის“ და კაფე-ბარ „დუნიას“ მფლობელი, აზერბაიჯანის მოქალაქე ირადა ა., სასტუმრო „დელფინის“ დროებითი მფლობელი, თურქეთის მოქალაქე იჰატ ი., სასტუმრო „ირას“ მფლობელი ჯემალ ბ., სასტუმრო „ნინის“ დროებითი მფლობელი გოჩა ბ., სასტუმრო „ასმინის“ დირექტორი, თურქეთის მოქალაქე მუნირ თ., სასტუმრო „პალანდოკენის“ დირექტორი თურქეთის მოქალაქე ახმედ ქ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქალბატონებს პროსტიტუციისთვის სისტემატურად გადასცემდნენ ადგილს. სამართალდამცველებმა აღნიშნულ სასტუმროებსა და კაფე-ბარში მომუშავე პირები მოწმის სახით დაკითხეს. (ჯი-ეიჩ-ენი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო ნატოს საკუთარ ინფრასტრუქტურას სთავაზობს



საქართველო „აისაფის“ ძალების ავღანეთიდან გამოსვლის ოპერაციაში მონაწილეობის მზადყოფნას ადასტურებს და ალიანსს საკუთარ ინფრასტრუქტურას სთავაზობს, რომ ეს ოპერაცია ყველაზე ოპტიმალური გზით განხორციელდეს. ამგვარი მზადყოფნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარესთან, გენერალ კნუდ ბარტელსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „საქართველო ადასტურებს მზადყოფნას „აისაფის“ ძალების ავღანეთიდან გამოსვლის ოპერაციაში მონაწილეობაზე და სთავაზობს ალიანსს საკუთარ ინფრასტრუქტურას, რომ ეს ოპერაცია ყველაზე ოპტიმალური გზით განახორციელოს. ასევე მინდა, მადლიერება გამოვთქვა საქართველოს ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართვის მხარდაჭერისთვის. ამავდროულად, ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ მაქვს იმედი, საქართველოს პროგრესი დემოკრატიული განვითარების, სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის სფეროში სათანადო შეფასებას მიიღებს 2014 წლის სამიტზე დიდ ბრიტანეთში და ახალ ეტაპზე გადაიყვანს ჩვენს თანამშრომლობას“. – განაცხადა მარგველაშვილმა. (ფრონტნიუსი)

## „სამეგრელოს“ ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს



სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზურაბ კვარაცხელიას განცხადებით, ოფისში ელექტროსადენების შეკეთებას აწარმოებდნენ, როდესაც მოსასმენ აპარატურას წააწყდნენ. კვარაცხელია ვერ აკონკრეტებს, რომელი ხელისუფლების დროს დაამონტაჟეს აპარატურა. ის სამართალდამცავებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართავს. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ხელმძღვანელი რუსეთში მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭიაა. (ინტერპრესნიუსი)

## აშშ საქართველოს სწრაფი რეაგირების ძალებს დააფინანსებს



თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში საქართველოს ჩართვას ამერიკის შეერთებული შტატები დაასპონსორებს. მინისტრის მტკიცებით, სწრაფი რეაგირების ძალების ნაწილი ქართული მხარე 2015 წლიდან გახდება.

„უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების ნაწილი 2015 წლიდან და სპონსორი სახელმწიფო უკვე შერჩეულია, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველოსთან ერთად. ჩვენ გავაგრძელებთ მუდმივ მზადყოფნას ნატო-ს სამხედროებთან, რომ კრიზისების შემთხვევაში სწრაფი რეაგირება განვახორციელოთ. ეს უკვე ნიშნავს, რომ ჩვენი თანამშრომლობა ახალ საფეხურზე ავიდა“. – განაცხადა ალასანიამ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რას დაჰპირდათ ეკა ბესელია „აბუნტებულ“ პატიმრებს?

**10 თებერვალს სამი „ოცნებისტი“ (ეკა ბესელია, ვიქტორ დოლიძე, დავით ონოფრიშვილი) და ერთი „ნაციონალი“ (დავით დარჩიაშვილი) ბრიუსელში გაემგზავრნენ. როგორც ეკა ბესელია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ევროპარლამენტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში“ საქართველოს პერსპექტივები განიხილება:**

– სადაც ახლა ვართ, ბევრს საუბრობენ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტებზე. ყველა ამბობს, რომ ასეთი ინტერესი, სააკაშვილი ზენიტში რომ იყო, მაშინაც არ ყოფილა. 44 მაღალი დონის დიპლომატი ესწრებოდა ბრიუსელში ირაკლი ღარიბაშვილთან მიღებას. მის გახსნილობაზე, მზაობასა და თავდაჭერილობაზე საუბრობენ.

აქ დიდი მოლოდინი აქვთ, ამათ კარგად იციან, რასაც „ნაციონალები“ სჩადიოდნენ. ახლა გვაქვს საშუალება, ამ ადამიანებს ვესაუბროთ ფაქტებზე და საუბრობენ ევროპულ სივრცეში საქართველოს დაჩქარებულ ინტეგრაციაზე. უკრაინის მოვლენებზეც იყო საუბარი, ამ ფონზე საქართველოსადმი ინტერესი და მხარდაჭერა კიდევ უფრო მაღალია, ძალიან პოზიტიურად გვიყურებენ.

**— „ნაციონალების“ კვალი კიდევ გხვდებათ, თუ წაშლილია?**

– ღარიბაშვილის ვიზიტების შემდეგ კვალი საგრძნობლად იშლება.

**— ევროპარლამენტში „სახალხო პარტიის“ წარმომადგენლები რას ამბობენ, მიშა ისევ მაგარიაო?**

– „ნაციონალები“ ცდილობენ, სადაც ხელი მიუწვდებათ, ილაპარაკონ ის, რაც ქვეყნისთვის საზიანოა, მაგრამ უკვე იციან ევროპელებმა მათი ხელწერის შესახებ. ციხის კადრების, გვამების შეკვეთის, სამალავების აღმოჩენისა და ამდენი ფარული ჩანაწერების შემდეგ მათ ევროპელები რით უნდა გააოცონ?

**— თქვენს დელეგაციაში ერთი „ნაციონალიც“ არის, ჭკვიანად იქცევა?**

– კი, ამ ეტაპზე ჭკვიანადაა... მე აქ ვარ ფიზიკურად, მაგრამ სულ ჩემს კომიტეტში შემოსულ საქმეებსა და განცხადებებზე ვფიქრობ, სულ გაჭირვებული ადამიანების ისტორიებს ვისმენ.

**— სანამ კონკრეტულად მაგ თემას შევეხებით, იქნებ საზოგადოებას აუხსნათ, რა ხდება გეგუთის კოლონიაში?**

– რაც შეეხება გეგუთის ციხეს, მე შევქმენი სამუშაო ჯგუფი ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე ეს ბოლო დღეების შიმშილობა დაიწყებოდა. ჯგუფი შედგება დეპუტატებისგან, ასევე არიან მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც სახალხო დამცველმა გამოყო. რამდენიმე კვირაა, ჯგუფი მუშაობს და სწავლობს იმ განცხადებებსა და საკითხებს, რომელსაც პატიმრები აყენებენ. მე დავპირდი პატიმრებს, როდესაც წინა შიმშილობა იყო, რომ ასეთი ჯგუფი შეიქმნებოდა და დავიწყებდით შესწავლას, რის გაკეთებაც შესაძლებელი იქნებოდა მოკლე დროში. ამ პერიოდში მოხდა რამდენიმე ფაქტი, რასაც სწავლობენ საგამოძიებო უწყებები და ისევ დაიწყო შიმშილობის აქცია. ჩვენი კომიტეტის წევრები შეხვდნენ ასამდე პატიმარს, მათ შორის იმ პატიმარს, რომელიც აცხადებს, დაზიანება მომაყენესო. როგორც გედი ფოფხაძე ამბობს, მან თავად ნახა ეს ადამიანი, ჰქონდა დაზიანება. ადმინისტრაცია ამბობს, რომ მოხდა პატიმრებს შორის ჩხუბი, სხვა ვერსიაზე ლაპარაკობს თავად პატიმარი. ამიტომ საჭიროა გამოძიებამ გამოიკვლიოს დეტალურად, რაც მოხდა. ჩვენ პარალელურად ვსწავლობთ სხვა გარემოებებსაც და უახლოეს დღეებში, სავარაუდოდ, შემდეგ კვირას გვექნება მოსმენა საკომიტეტო სხდომაზე. საპატიმროებში ვითარება იმდენად არის შეცვლილი, რომ შედარებაც არ შეიძლება. მესმის, რომ თავისუფლებისა და ადამიანური მოპყრობის პირობებში უფრო მეტი მოთხოვნები ჩნდება, მაგრამ აუცილებელია დაბალანსდეს ვითარება. მალე „პატიმრობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს შევიტანთ და დეტალურად განვიხილავთ ყველა იმ სიახლეს, რაც დაინერგება. ამავე დროს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაიწერება ნორმები.

**— ეს გასაგებია... ბოლოს და ბოლოს, რა ბედი ელის პარლამენტში შემოსულ განცხადებებს, როდის დაიწყება სამართლიანობის აღდგენა?**

– ჩემთან უამრავი პრობლემა იყრის თავს, ძალიან ბევრი საჩივარია, ადამიანები ითხოვენ რეაგირებას... ვცდილობთ, ყველა საჩივარს გარკვეული მიმართულება მივცეთ და შესაბამის უწყებებში გავაგზავნოთ, პარლამენტი არც არის ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. თითქმის ყველა საჩივარზე ვაკეთებთ პასუხს, თვეში 1000 განცხადება შემოდის სხვადასხვა საკითხზე. არის სესხის დაფარვის, კრედიტების გაუქმებისა და სამსახურის დაწყების თაობაზე განცხადებები. ეს ჩვენი კომიტეტის კომპეტენცია არ არის და ვუხსნით ადამიანებს, რა უნდა გააკეთონ. ძალიან რთულია ამ უმძიმესი მემკვიდრეობის დაძლევა ასეთ მოკლე დროში. ჩვენ რომ გავიაზრებთ, რა მასშტაბის ძალადობასა და უკანონობას ჰქონდა ადგილი, იოლად მივხდებით რასთან გვიწევს გამკლავება. მთელი საზოგადოება მძიმე სტრესის ქვეშაა. რაც ჩვენ ყველამ ერთად გადავიტანეთ და გავიარეთ, ეს ასე იოლად არ ქრება. ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა რამდენიმე დღის წინ ეთერში, მართლაც სად ვიყავით? იქ, სადაც ადამიანის სიცოცხლე არაფერი არ იყო, სადაც წამებში ხდებოდა ადამიანის მოსპობა. გვამების დამკვეთი ხელისუფლება გვყავდა... ამის მერე რაზე გველაპარაკებიან?!

**— ეკა, გვამების დამკვეთი ლექციებს კითხულობს ამერიკაში და ამიტომაცაა ხალხი გამწარებული.**

– მესმის ჩვენი ხალხის აგრესიის, ამიტომაც ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვისაც ასეთი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. კანონზე მაღლა არც სააკაშვილი და არც არავინ არ უნდა დადგეს.

**— როდისღა უნდა აგოს პასუხი? პარლამენტში მარტო შენ და მანანა კობახიძე ხართ, რომლებიც ამ თემაზე ლაპარაკობთ, ასე მგონია, დანარჩენებს ჩამოეძინათ და „ნაცების“ პრეტენზიები „იავნანად“ ჩაესმით.**

– ასობით საქმის გამოძიება ერთდროულ რეჟიმში დაიწყო და მიმდინარეობს... მესმის, საკმაოდ რთულია, მაგრამ პროკურატურამ უნდა დაძლიოს ეს სირთულე.

**— არ ვიცი, დღემდე ვერ დაძლია.**

– მე იმედი მაქვს, რომ პროკურატურა თავის სიტყვას იტყვის.

**— სააკაშვილზე რას ამბობენ ბრიუსელში? ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა ინტერვიუში, ევროპაში უკვე ყველაფერი იციანო.**

– ეს მძიმე წარსულია უკვე... მართლაც ყველაფერი იციან. როდესაც ვუყვებით, ადასტურებენ, რომ ასეა. არავინ ცდილობს მის დაცვას.

» გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

## რუსთავში ხანძარმა 43 წლის მამაკაცი იმსხვერპლა




რუსთავში, მარის არხის პირველი დასახლების №51 „ა“ კერძო სახლში გაჩენილ ხანძარს 43 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. ხანძრის ლიკვიდაციას რუსთავის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამი ბრიგადა რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა. დამწვარია 80 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სახლი, მასში არსებული ნივთები და ავეჯი. 43 წლის მამაკაცი კი, რუსთავის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსის თამაზ დარბაიძის ვერსიით, ხანძრის დროს კვამლის შედეგად გაიგუდა. ეს უკანასკნელი, ცეცხლის გაჩენის დროს, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. (ინტერპრესნიუსი)

## ჰამერბერგი მთავარ პროკურორს შეხვდა



საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი საქართველოში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, თომას ჰამერბერგს შეხვდა. შეხვედრაზე, სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებებით არსებული დადებითი ტენდენციები განიხილეს. (ჯი-ეიჩ-ენი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეკონომიკური ზრდის ტენდენცია 2014 წელსაცაა მოსალოდნელი




საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4 პროცენტს შეადგენს. დღეისთვის არსებული პროგნოზების მიხედვით მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მიზნობრივ დონეს 2014 წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდეს. იანვარში ინფლაციამ 2.9% შეადგინა. წინა თვესთან შედარებით კი ფასები 0.8 პროცენტით გაიზარდა.

„წლის ბოლოს ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლება დაფიქსირდა. წინასწარი შეფასებით ნოემბერ-დეკემბერში ეკონომიკური აქტივობის ზრდამ 8 პროცენტს გადააჭარბა. აღნიშნულიდან გამომდინარე მეოთხე კვარტალის საპროგნოზო ზრდა 6.9%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანად 2013 წლის მშპ-ს ზრდა 3.1%-ს მიაღწევს. მეოთხე კვარტალში ეკონომიკურ ზრდას საგარეო მოთხოვნასთან ერთად (რაც წინა პერიოდებშიც აქტიური იყო), შიდა მოთხოვნის გააქტიურებამაც შეუწყო ხელი. შიდა მოთხოვნის გააქტიურებაზე მიუთითებს იმპორტის მაღალი წლიური ზრდის ტემპები, განსაკუთრებით აღსანიშნავია საინვესტიციო იმპორტის ზრდა, რამაც მომდევნო პერიოდებში ეკონომიკური ზრდის აღდგენა უნდა წაახალისოს.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის გამოცოცხლება შეინიშნება და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტენდენცია 2014 წლის პირველ ნახევარშიც შენარჩუნდეს“. – ნათქვამია ეროვნული ბანკის ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიერი სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას არ გამორიცხავს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას არ გამორიცხავს. „ჩვენი ხელისუფლების პირობებში არც ერთი თანამდებობის პირი, მოქმედი, ყოფილი თუ მომავალი, არ იდგება კანონზე მაღლა. ეს ძალიან მტკიცედ ნათქვამი სიტყვებია“. – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი. მისივე თქმით, პროკურატურაში აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება მრავალ საქმეზე. პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ყველა კითხვას მალე გაეცემა პასუხი. (ფრონტნიუსი)

## ხაიშელების უმრავლესობას ხუდონჰესის აშენება სურს




საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მტკიცებით, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის მკვიდრთა უმრავლესობას ხუდონჰესის პროექტის განხორციელების სურვილი აქვს. „კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ ხუდონჰესის პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. მთავრობა ამ პროექტის უმტკივნეულოდ და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად დაცვით განხორციელებისთვის ყველაფერს გააკეთებს“. – აცხადებს კალაძე. (ჯი-ეიჩ-ენი)

## ალიევი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში მხარს უჭერს



აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის განცხადებით, ევროპასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველო და აზერბაიჯანი ყოველთვის ერთმანეთის მხარდამჭერები არიან. „ერთმანეთს მხარს ვუჭერთ ჩვენი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ამით საერთაშორისო სამართლის ნორმებიც უხეშად ირღვევა“, – აცხადებს ალიევი. (ინტერპრესნიუსი)

## ფოცხვერიას რვა წელი მიუსაჯეს



ე.წ. კანონიერი ქურდობის ბრალდებით დაკავებულ ტარიელ ფოცხვერიას სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადებას სასამართლო დარბაზში ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. ერთ-ერთმა ბრალდებულმა ილია სახელაშვილმა პროკურორს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ბრალდებულების ახლობლები დარბაზიდან მანდატურის სამსახურმა გაიყვანა.

მოსამართლე დალი მეტრეველმა ფოცხვერიასთან ერთად ბრალდებულ სამ პირს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, დარბაზიდან მხოლოდ ერთი ბრალდებული განთავისუფლდა. (ინტერპრესნიუსი).

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ექსკლუზივი

# რა საკითხზე ჩააგდებინა ხმა ღარიბაშვილმა ევროსაბჭოს პრეზიდენტს?

რა კულუარული საუბრები გაიმართა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეის შორის? წაუყენეს, თუ არა ივანე მერაბიშვილისა და ბაჩანა ახალაიას განთავისუფლების ულტიმატუმი ევროპელმა პოლიტიკოსებმა ღარიბაშვილს და რა ფაქტები დადო საქართველოს პრემიერმა, რის გამოც რომპეი დადუმდა? უნდა ჰქონდეთ, თუ არა იმედი „ნაციონალებს“, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ევროსაბჭო მერაბიშვილსა და ახალაიას პოლიტიკური პატიმრის სტატუსს მიანიჭებს, უგულავას კი პოლიტიკურ დევნილად გამოაცხადებს? ევროპაში სააკაშვილი მოდაში აღარ არის, ის წარსულს ჩაჰბარდა, 21-ე საუკუნის ევროპა აგრესიულ და არასანდო პოლიტიკოსებზე სწორებას აღარ აკეთებს. მშვიდობით, მიშა!

სააკაშვილის რეჟიმის წასვლის შემდეგ რატომ გადმოინაცვლა საქართველოში პრესის თავისუფლების ინდექსმა მე-100 ადგილიდან 84-ე ადგილზე?

ამ კითხვებზე პასუხების მოძიებას, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძესთან ერთად შევეცდებით. თუმცა მანამდე, პრემიერ-მინისტრის საინტერესო განცხადებაზე შევჩერდები. „პოლიტიკის დროში“ მან ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გაამხილა: „შეიძლება, ეს საიდუმლო იყოს, მაგრამ არაუშავს, სჯობია გავამხილო. ევროპელი პარტნიორების პირადი შეფასებით, სააკაშვილი არის მათი პირადი იმედგაცრუება, ასეთი განწყობაა ევროპაში, ამერიკასა და ზოგადად ბიზნესწრეებში, რომ სააკაშვილი არის მათი იმედგაცრუება, რადგან მათ სჯეროდათ, ისევე როგორც ჩვენ, რომ მოვიდოდა დემოკრატიული ხელისუფლება, მათ კი აბსოლუტურად სხვა მიმართულებით წაიყვანეს ქვეყანა. მიხეილ სააკაშვილი ძალიან კომიკური პერსონაჟი და ფიგურა გახდა. აი, თუნდაც მიუნხენი... ადამიანს, რომელიც არ იყო მოპატიჟებული, რატომ უნდა გაუჩნდეს აზრი, რომ ჩამოვიდეს იმ სასტუმროში, სადაც კონფერენცია ტარდებოდა, ერთი ღამით იქირაოს სასტუმროს ნომერი და ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთოს, იმ განწყობის შესაქმნელად, თითქოს ის მიუნხენის კონფერენციაზე მიპატიჟებული იყო? სააკაშვილს არავინ აღარ სცნობს, აღარავინ აღარ ეპატიჟება. როცა პრეზიდენტი იყო, ის აღარ იყო მიწვეული მიუნხენის კონფერენციაზე, სიტყვას არ აძლევდნენ“.

სააკაშვილის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე „დასტუკებისა“ და მისი ბოროტი ზრახვების შესახებ გაზეთი „კვირის ქრონიკა“ წერდა. ჟურნალისტი წყაროზე დაყრდნობით რუსეთის სპეცსამსახურებთან „ნაცებისა“ და სააკაშვილის კავშირებზე საუბრობდა. მიუნხენში მიხეილ სააკაშვილი მხოლოდ უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერს, ვლადიმერ კლიჩკოსა და სხვა უცხოელ პოლიტიკოსებს არ შეხვედრია, სააკაშვილი ფარულად შეხვდა რუსეთის დუმის გავლენიან დეპუტატს, ლეონიდ სლუცკის და რუსეთის მხარდაჭერით „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმებზე ისაუბრესო.

**საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე „ალიასთან“ საუბარში ევროკავშირში განვითარებული მოვლენების მნიშვნელოვან დეტალებს ყვება:**

**— რა გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ მედიაში ღარიბაშვილის ვიზიტს? როგორც წესი, მედია ანალიზს მოგვიანებით აკეთებს ხოლმე...**

– ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტს დიდი გამოხმაურება ჰქონდა, შეიძლება იმიტომ, რომ ირაკლი თვითონ ფრანკოფონია, საფრანგეთში აქვს განათლება მიღებული და ფრანგები ამას ძალიან აფასებენ. მინდა გითხრათ, რომ ეს არ იყო ლობისტების მიერ ორგანიზებული ვიზიტი, ამის ორგანიზება თვითონ ევროკავშირმა გააკეთა. იქ იყო ერთი მომენტი, რომელიც არ მომეწონა, კერძოდ, ღარიბაშვილი ევროპარლამენტის წარმომადგენლებს არ შეხვდა. მე ვკითხე საგარეო უწყების ხელმძღვანელებსა და ლობისტებს, რატომ მოხდა ასე. მაშინ გავარკვიე, რომ ეს იყო თვითონ ევროკავშირის მიერ ორგანიზებული ვიზიტი და როგორც დაგეგმეს, შეხვედრებიც ისე წარიმართა. მიშას შეხვედრებს ლობისტები გეგმავდნენ. მიშა რომ ჩამოდიოდა, იყო ერთი პანიკა, არიქა „უოლსტრიტ ჟორნალი“ მოიყვანეთ, „ბი-ბი-სი“, „ფრანს 24“ და იყო ერთი ფუთფუთი. ამ დღეებში ძალიან საინტერესო წლიური ანგარიში გამოაქვეყნა ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველომ მე-100 ადგილიდან 84-ე ადგილზე გადმოინაცვლა, ესეც პროგრესია. ჩვენს მთავრობას ვაკრიტიკებ, რომ ლობისტები არ ჰყავთ, მაგრამ შეეძლება კარგიც არის, რადგან ვხედავთ, რომ საქართველოსთან მიმართებაში სპონტანურად მიდის პროცესები.



**— „ნაციონალებს“ სჯერათ, რომ მერაბიშვილსა და ახალაიას პოლიტიკური პატიმრის სტატუს მიანიჭებენ. რა იყო პრემიერის პასუხი ამ თემაზე და რას ამბობენ ევროპელები კულუარებში?**

– კულუარული ინფორმაციით, რამდენადაც ვიცი, რომპეისთან შეხვედრისას ლაპარაკი იყო მერაბიშვილსა და ახალაიაზე, ვიცი, რომ ძალიან დიპლომატიურად კარგი პასუხი გასცა ღარიბაშვილმა ამ თემაზე, მე ვიცი სიტყვასიტყვით რაც თქვა ღარიბაშვილმა – კანონი დგას საქართველოში ყველაზე მაღლა, ჩვენ ამ ხალხს მილიონების გაფლანგვაში ვედავებით, შეახსენა ციხის კადრები და უთხრა, რომ ისევ ევროპარლამენტში და ევროსტრუქტურებში იყო ლაპარაკი ამაზე და პირველი, ვინც აღშფოთდა იყო სწორედ ევროსტრუქტურა, ეს გაიხსენეთ, ბატონებო, და აქედან გამოდით. ოთხი წლის შემდეგ, ჩვენი მთავრობა თუ დააშავებს, შემდეგ აქ რომ ჩამოვიდე და დავიწყო ლაპარაკი, რომ პოლიტიკურად მებრძვიან და ამ დროს ჩემს ზურგს უკან მილიარდობით დოლარი ბიუჯეტიდან იყოს გაფლანგული, თქვენ ამაზე რას იტყვითო? მე როგორც ვიცი, რომპეი ამაზე გაჩუმდა და ვეღარაფერი უპასუხა. ზუსტად ეს აკლია საქართველოს მთავრობას, რომ ზუსტი ინფორმაცია მიიტანოს ევროპამდე. მიშა სააკაშვილს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, შეიცვალა საქართველოში ვითარება და ევროპელებმა რეალურად დაუწყეს საქართველოს ყურება. მიხარია, რომ ევროპელებს მიშასი აღარ სჯერათ. სააკაშვილს ბოლო წლების მანძილზე არასერიოზულად უყურებდნენ. თავის დროზე ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცს ვუყვებოდით, რა ხდებოდა საქართველოში და თქვა, რომ ის არის გიჟი. ეს იყო 2012 წლის გაზაფხულზე. ევროპა მიშას აღარ აღმერთებს, აღარც დემოკრატად მოიხსენიებს. დღეს ევროპა საქართველოს ისე უყურებს, როგორც უნდა უყურებდეს და პროცესებსაც ადეკვატურად აფასებს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საარჩევნო კოდექსი პარლამენტში შეიტანეს



კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების გარდა, „მაუწყებლობის შესახებ“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონებში დაგეგმილი ცვლილებები დარეგისტრირდა.

ცვლილებების ძირითადი ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ეხება. პროექტში განსაზღვრულია აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირების, თვითმმართველ თემში – გამგებლის, ხოლო თვითმმართველ ქალაქში – მერის პირდაპირი არჩევის წესი, ასევე კანდიდატების წარდგენასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები.

არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატში მომზადებულ პროექტს აკრიტიკებენ. მათი შეფასებით, მმართველი გუნდი საარჩევნო სისტემის მიმართულებით არაფერს ცვლის და არსებულ სისტემას „საკუთარ თავზე ირგებს“. (ინტერპრესნიუსი)

## დაფინანსებას რატომ გვაყვედრიანო



„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე ირაკლი ღარიბაშვილს ურჩევს, პარტიებს ხარჯების ანაზღაურებას ნუ დააყვედრიან.

„საქმე ისაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო და საპეზიდენტო არჩევნების დროს ფული აიღო და ახლა იციან, რომ თანხები კიდევ დასჭირდებათ. 7 მილიარდი ისედაც აქვთ, ახალი წესის შემოღებასაც სათავისოდ აპირებენ და აქეთ გვაყვედრიან, ეს წესი თქვენთვის გვინდა შემოვიღოთო. რა თქმა უნდა, ხარჯების ანაზღაურება პარტიებისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ნუ დაგვაყვედრიან. მაძღარი მშიერს ნამცეცებს უყრიდა და ეძახდა, რა ღორულად ჭამო, დაახლოებით ეგ არის, რასაც ჩვენ გვთავაზობენ“, – აცხადებს ვეფხვაძე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, პარტიებს ადგილობრივი არჩევნებისთვის გაწეული ხარჯები შეიძლება ერთჯერადად ბიუჯეტიდან აუნაზღაურდეთ. (ინტერპრესნიუსი)

## ნარმანია არჩევნებში ღირსეულად გაიმარჯვებსო...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ თვითმმართველობის არჩევნებში დავით ნარმანია ღირსეულად გაიმარჯვებს. მისი აზრით, ნარმანიას რეალური კონკურენტი არ ჰყავს. ღარიბაშვილის შეფასებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი უწესიერესი, მშრომელი, პატიოსანი, პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური ადამიანია.

„მიმაჩნია და შინაგანად მჯერა, რომ მას არავითარი პრობლემა არ ექნება არც 40%-იანი, არც 50% და არც 60%-იანი ბარიერის შემთხვევაში. დარწმუნებული ვარ, რომ დათო ნარმანია ღირსეულად გაიმარჯვებს და თბილისის ღირსეული მერი გახდება. რაც მთავარია, ის იზრუნებს არა საკუთარ პიარზე, არამედ ქალაქ თბილისის მოსახლეობაზე. ის აღარ მოჰპარავს ქალაქ თბილისის მოსახლეობას 50 მილიონს“, – აღნიშნა პრემიერმა. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# რა ქონება არ ჩაწერა მარინე მიზანდარმა ქონებრივ დეკლარაციაში?



ბოლო სამი-ოთხი დღეა, რაც ტელევიზიით „გასკანდალდა“, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი სამსახურიდან გაათავისუფლესო. ამ ადამიანმაც, რომლის პერსონაც თავიდანვე იწვევდა ეჭვს, თავისი „ნაციონალური“ აზროვნებით, „სკანდალი“ მაღალ დონეზე შეიფერა. როგორც კი მიზანდარი გადააყენეს, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნდა სტატიები მის მიერ დაგროვილი ქონების შესახებ... მაგალითად, წერენ, რომ მას 5 საცხოვრებელი ბინა აქვს, მათ შორის, 3 ბინა გუდაურში, 1 – საზღვარგარეთ, ბრიუსელში და 1 – თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე. ასევე, დეკლარაციის მიხედვით, აქვს 15 ათასი ევრო, სხვადასხვა ცნობილი მხატვრის 5 ფერწერული ტილო. სესხის სახით აულია 159 ათასი ევრო, რომელიც 2028 წელს უნდა დაფაროს. ვიდრე მიზანდარი მინისტრის პირველი მოადგილე გახდებოდა, „ევროპის სახლის“ პროგრამების დირექტორი იყო (ნეტა, სად შოულობენ ასეთ კარგ სამსახურებს ეს საშუალო დონის ხელოვნებათმცოდნეები?), სადაც წლიური შემოსავალი 12500 ევრო ჰქონია. ამავე დროს, თურმე პარალელურად, ევროკავშირის პროექტების მონიტორინგის ექსპერტის პოსტს ითავსებდა, სადაც ხელფასის სახით 40 ათას ევროს იღებდა. მოკლედ, მიზანდართან დაკავშირებით ქართულმა მედიამ იმაზე მეტი ვერაფერი მოიპოვა, ვიდრე მას ჰქონდა დეკლარაციაში ასახული.

„ალიას“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ქალბატონმა მიზანდარმა თავის დეკლარაციაში იმის ნახევარიც არ ჩაწერა, რა ქონებაც მთლიანად დააგროვა. მაგალითად, მან გაზაფხულზე იყიდა ბინა სოლოლაკში, კოჯრის 15/3-ში, იტალიურ ეზოში, 80 ათას დოლარად. ეს ის ეზოა, სადაც თავის დროზე ცხოვრობდა რუსი პოეტი სერგეი ესენინი. ეს ბინა ბოლოს „ნაცების“ ექსპერტ ნიკა ჩიტიძეს ეკუთვნოდა და კერძო იპოთეკარებმა წაართვეს. ნიკას დეიდაშვილმა ჩადო იპოთეკაში. ეს ბინა ჩიტიძეს ბებიამ და ბაბუამ დაუტოვეს. ასე რომ, მიზანდარმა ნიკას ბინა იპოთეკარებისგან შეიძინა და სხვათა შორის, მისი ყიდვა სადღაც ერთი წლის წინათ რუს მსახიობს, სერგეი ბეზრუკოვს უნდოდა, ის ესენინისეულ სახლში ცხოვრებაზე ოცნებობს.

მოკლედ, მარინე მიზანდარი მაგარი „კვაჭი“ აღმოჩნდა... მან ეგრევე დაიწყო გრანდიოზული რემონტი და ბოლოს ისე შევიდა ეშხში, კიდევ ორი ბინა შეიძინა პირველ და მეორე სართულებზე (ჩიტიძე-ესენინის ბინა მესამე სართულზეა). როგორც მეზობლები ამბობენ, მიზანდარმა სახლი რკინის შველერებით გაამაგრა და ახლა ვინმე ქეთინოს ბინასაც ყიდულობს (რატომაც არა, პატარა შემოსავალი არ ჰქონდა). სხვათა შორის, ეს სახლი ისეთ ადგილზეა, რამდენიმეჯერ ინვესტორებმაც დაადგეს თვალი, მაგრამ ქეთინო ვერავინ მოხიბლა, ქალი იძახის, თუ აქედან გადავალ, მხოლოდ ვაკეში და თანაც ფალიაშვილზე, სტალინის კორპუსშიო. წარმოგიდგენიათ? ქალბატონმა მიზანდარმა ყველა ინვესტორს აჯობა, ებრაელი ქეთინოს სურვილიც დააკმაყოფილა და ახლა თურმე თავად ნადირობს ინვესტორებზე, რათა მთელი სახლი გაყიდოს, მის ადგილას თანამედროვე კორპუსი დაადგმევინოს და კაი გვარიანი წილიც მიიღოს. თუმცა, მეზობლებისთვის უთქვამს, თუ არავინ გამოჩნდა, შენობას მაგრად გავარემონტებ, პირვანდელ სახეს დავუბრუნებო.

აჰა, ხალხო, მეტი რა გინდათ? ჩვენ რომ გვგონია, მინისტრებსა და მათ მოადგილეებს ჩვენზე ზრუნვით ღამეები არ სძინავთ, ესენი თბილისში ბინების „ბიზნესით“ არიან დაკავებულები. უკვე აშკარად იკვეთება ერთი ტენდენცია – ადამიანები, რომლებიც მინისტრები ან მოადგილეები ხდებიან, ეგრევე იღებენ ბანკებიდან გრძელვადიან სესხებს, ყიდულობენ ბინებს, იწყებენ რემონტს, მერე ამ სესხებს ფარავენ ჩვენი ჯიბიდან ამოღებული პრემიებით და ყველაფერი არის მშვენივრად. ამ ადამიანებმა იციან, რომ სანამ თანამდებობიდან გააბუნძულებენ, თადარიგი უნდა დაიჭირონ. მათი ბინები ისე რემონტდება, უბრალო მოკვდავებზე არ გაქირავდება, ეს უფრო უცხოელებზეა გათვლილი, რომლებიც თვეში, სულ მცირე, 2 ათას დოლარს იხდიან. ხუთი-ექვსი ბინა საკმარისია იმისთვის, რომ თანამდებობიდან გაბუნძულებულმა მომავალში უზრუნველად იცხოვროს. რა სამშობლო და ქართველი ხალხი?

ჩვენ მიერ დაქირავებული ჩინოვნიკები მოსწრებაზე არიან. თუკი „ნაციონალები“ დარწმუნებული იყვნენ, რომ მუდმივად ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში და საგულდაგულოდ „კვნეტდნენ“ ბიუჯეტს, ესენი პირიქით იქცევიან – „გასწიგაგლიჯე-მოასწარის“ პრინციპით მუშაობენ. რა არის ეს – ღალატი, დანაშაული, თუ უბრალოდ, ადამიანური სიხარბე? ეს არის ერთიც, მეორეც, მესამეც და ამ ყველაფერში უპირველესად დამნაშავეა ახალი ხელისუფლება. გაიგეთ, რომ დღეს არა მხოლოდ კულტურის სამინისტრო, არამედ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა გადაძეძგილია „ნაციონალებით“, რომლებიც გადასულები არიან თანხების ფლანგვასა და მუცლების ამოყორვაზე. მე პირადად, ქართველი ხალხის სახელით, ვთხოვ ფინანსთა მინისტრს, ბატონ ნოდარ ხადურს, გაარკვიოს, რატომ გამოიწერეს საახალწლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა, დიმიტრი დარბაისელმა და მისმა მოადგილეებმა 30-30 ათასი ლარი პრემიის სახით?

რატომ ფინანსდება მათი ყოველდღიური კვება ბიუჯეტიდან და რატომ ჰქვია ამ ყველაფერს „წარმომადგენლობითი ხარჯები“? რატომ მიდის ყოველდღიურად სასჯელაღსრულების დეპარტამენტში „გუდვილიდან“ და „შირნჰოფერიდან“ „ენ“ რაოდენობის „რედბული“, ძეხვი და ყველი სწორედ ამ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მოტივით? გაგვარკვიოს ბატონმა ნოდარმა, ამხელა ხელფასებისა და პრემიების შემდეგ ამათ კვებასაც ჩვენ ვაფინანსებთ დამატებით? თუკი ასეა (და ვიცი, რომ ასეა), მაშინ, ვაი, ჩვენს პატრონს!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილისა და პუტინის შეხვედრისთვის წინაპირობები არ არსებობს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გიას ვოლსკის განცხადებით, საიმისო წინაპირობა, რომ რუსეთისა და საქართველოს უმაღლეს პირებს შორის შეხვედრა შედგეს, ჯერჯერობით არ არსებობს. „წინაპირობებში, პირველ ყოვლისა, ისეთი თემების მომწიფებას ვგულისხმობ, როგორიც უსაფრთხოების საკითხებია. ევროკავშირ-რუსეთის კონსულტაციების დროს განსაკუთრებული ყურადღება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დალაგების საკითხს დაეთმო. ჩვენთვის მთავარი თემა დეოკუპაციისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებია და დარწმუნებული ვარ, ამ თემების სერიოზულად განხილვის დროც მოვა“. – აცხადებს ვოლსკი. (ფრონტნიუსი)

## 2013 წელი საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით წარმატებული იყო



საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მტკიცებით, 2013 წელი ძალიან მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო. „მოხდა ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება, ნატოსთან კიდევ უფრო დაახლოება, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ურთიერთობების განმტკიცება, ახალი წარმომადგენლობების გახსნა და ა.შ. ყოველივე ეს იმსახურებდა იმას, რომ სათანადოდ ყოფილიყო წარმოჩენილი“. – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ჯი-ეიჩ-ენი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ოცნების“ მთავრობა ელექტრომობილების შემოყვანას აპირებს



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, ენერგეტიკის სამინისტროში ძალიან საინტერესო იდეაზე მუშაობენ და უახლოეს მომავალში გეგმასაც წარმოადგენენ. იდეის არსი კი საქართველოში ელექტრომობილების შემოყვანაა. „იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას ელექტროენერგიის დიდი რესურსი გააჩნია, ელექტრომობილების შემოყვანაზე შეგვიძლია, თავისუფლად ვიფიქროთ. პირველ ეტაპზე, შეგვიძლია, რამდენიმე სადგური ავაშენოთ, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც საწვავის მიწოდება, ისე ელექტრომობილების დატენა. შესაბამისად, ეს მიმართულება უნდა წავახალისოთ. მაგალითად, ელექტრომობილები განბაჟების გადასახადისგან უნდა გავათავისუფლოთ. ბოლო წლებია, ეს მიმართულება ევროპაში ძალიან განვითარდა“, – განაცხადა მინისტრმა და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე უფრო დეტალურად სამინისტრო საკუთარ ხედვებს უახლოეს მომავალში წარმოადგენს.

იდეა უდავოდ საინტერესოა, თუმცა ახალი აშკარად არაა, რადგან ქვეყანაში ელექტრომობილების შემოყვანაზე რამდენიმე წლის წინათ (2011წ.) მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა და ფრანგულ ავტოკონცერნ „რენოსთან“ საქართველოში ელექტრომობილების გამოყენების ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებაც გააფორმა. (ფრონტნიუსი)

## გამგებლის მოადგილე ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით, ყვარლის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ოთარ ადომლიშვილი დააკავეს. გამოძიებამ დადგინა, რომ მან თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, მოქალაქეს ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში მდებარე 711 931 კვ.მ მიწის ფართობისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის აუქციონზე გატანის, მასში გამარჯვებისა და ქონებაზე ხელოვნურად ფასის დაკლების სანაცვლოდ, ქრთამის სახით გამოართვა 50 000 ლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). (ჯი-ეიჩ-ენი)

## მუხროვანის საქმეზე დამნაშავეები უმკაცრესად დაისჯებიან



ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, მუხროვანის საქმეს ძალიან მალე ფარდა აეხდება. მისი თქმით, არ არის გამორიცხული მუხროვანის მოვლენებთან დაკავშირებული ვიდეომასალა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილისთვის ახალი სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი გახდეს.

„მერაბიშვილის დაკვეთას ერთი ადამიანის ლიკვიდაცია და ორი ადამიანის სასიკვდილოდ დაჭრა მოჰყვა. რა თქმა უნდა, ამას საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალიან მკაცრი რეაგირება მოჰყვება. ამ საქმეს სამართალდამცავები ძალიან მოკლე დროში გამოიძიებენ და ყველა დამნაშავე ძალიან მკაცრად დაისჯება“. – განაცხადა ღარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია მერაბიშვილის დაკვეთის შესახებ, თუმცა მტკიცებულება არ არსებობდა. (ჯი-ეიჩ-ენი)

## ექსკლუზივი

# რომელი ფონდიდან ფინანსდებოდა ვანო ჩხარტიშვილის ბიზნესი?

## და რა პრეტენზიები აქვთ ეკა ბესელიასთან

**თურქი ბიზნესმენის, ომერ სარის წარმომადგენელი, მამუკა კაკუშაძე „ალიას" იმ პუბლიკაციას გამოეხმაურა, სადაც „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის" ხელმძღვანელი ეკა ბესელიას ბიზნესის ლობირებაში ადანაშაულებდა.**

**მამუკა კაკუშაძე:**

– ამას წინათ „ალიაში" (№14; 30.01.2014) ინტერვიუ გამოქვეყნდა „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის" თავმჯდომარესთან, რომელიც ეხება იმ პოლიტიკოსებს, ვინც, მისი ინფორმაციით, ბიზნესს აკონტროლებს. აქცენტი ამ ეტაპზე ქალბატონ ეკა ბესელიაზე იყო, რომელიც ფოთის მაჟორიტარი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეა. მისი კომენტარიდან ჩანს, რომ ის ფაქტებს, კონკრეტულ საკითხებს მოითხოვს.

**— დიახ, მოითხოვა და მართალიცაა. გაქვთ კონკრეტული ფაქტები?**

– დავიწყოთ იმით, რომ მაჟორიტარი ქალბატონი კომენტარში ოსტატურად გვირევს ერთმანეთში გემის დაყენებისა და „რაკიასა" თუ „მაერსკის" ამბებს. გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვისაა ეს გზავნილი: ფოთის პორტი „მაერსკისაა" და მე როგორ უნდა ვუკარნახო ვინმეს გემის შემოყვანის, გაყვანის ან დაცლის შესახებო... პორტს „მაერსკი" კი მართავს, მაგრამ ტერმინალები, რომლებიც მშრალ, ნაყარ ტვირთებზე მუშაობენ, „მაერსკის" დახვდა 25 წლით იჯარით გაცემული მხოლოდ ერთ კომპანიაზე „პეისზე" („პეის ინტერნეიშენელი"), რომლის მენეჯერს, დირექტორსა და დამფუძნებელს, ბატონ იოსებ დოლიძეს ქალბატონი ეკა პირადად იცნობს და იცნობს სწორედ ჩვენი მიზეზით, ხოლო ეს მიზეზი როგორ წარმოიშვა, სულაც არაა ცნობილი.





**— რას გულისხმობთ?**

– როცა ხელისუფლება შეიცვალა, რამდენიმე უცხოელმა ინვესტორმა (ომერ სარი – თურქეთიდან, ლადისლავ ჰალაჩკა – ჩეხეთიდან), თავის ქართველ პარტნიორებთან ერთად, დაიწყო წართმეული აქტივების დაბრუნებისთვის სამართლებრივი ბრძოლა. ვისთვის უნდა მიგვემართათ, თუ არა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარისთვის, რომელიც ამავე დროს ფოთის მაჟორიტარიცაა. ის საქმეს გულდასმით გაეცნო, მიგვიღო, მოგვისმინა და მიიჩნია, რომ ჩვენი პრეტენზიები საფუძვლიანი იყო და წინა ხელისუფლების დროს, როცა ფოთის პორტში „რაკია" იყო, ჩვენთვის საიჯარო კონტრაქტების გაუქმება და „პეის"-ისთვის გადაცემა კრიმინალის ნიშნებს ატარებდა. მან ჩვენ და იოსებ დოლიძე ერთმანეთსაც შეგვახვედრა, რომ საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს გვერდის ავლით, იქნებ მოვრიგებულიყავით. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ ქალბატონი ეკა საერთოდ „დავკარგეთ".

**— „დაკარგეთ" რას ნიშნავს, რაც შეეძლო გააკეთა, მეტი რა უნდა ექნა?**

– ,,დავკარგეთ" ნიშნავს იმას, რომ ამის მერე აღაც ზარებზე გვპასუხობდა და არც რაიმე პასუხს გვწერდა 2013 წლის ნოემბრამდე, სანამ ფოთის პროკურატურას არ გადაუგზავნა ჩვენი განცხადება. ზემონახსენები შეხვედრა შედგა თებერვლის ბოლოს და გვეუბნებოდა, ერთ თვეში ყველაფერი უნდა გაირკვეს და მე მოვახსენებ მთავრობაში პორტში შექმნილ მდგომარეობასო.

ამ დროს ფოთის აღორძინების ფონდი „ფაზისიც" გაიხსნა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვინმე ლევან ჯღარკავაა. ის „ვინმე" შეიძლება მკითხველისთვის იყოს, თორემ ომერ სარი, ლადისლავ ჰალაჩკა მას დღემდე ედავებიან 3 000 000 აშშ დოლარს.

**— ვინაა ლევან ჯღარკავა? რა ფულია ეს და რატომ ედავებიან?**

– ლევან ჯღარკავა დანიშნეს ჩვენი კომპანიების დირექტორად („პრომეტკო ჯორჯია" და „ჯე-ეს-კო") ის იყო ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებული და ჩვენი კომპანიებიდან 3 000 000 აშშ დოლარზე მეტი აქვს გატანილი და გადარიცხული ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებული კომპანიების მისამართით („სონატა ალიანს ჯორჯია" – ფოთის წისქვილ ქარხანა). მასზე გამოძიება მიმდინარეობს ფინანსურ პოლიციაში, მაგრამ დღეს ქალბატონი ეკა ბესელიას რეკომენდაციით „დასაქმებულია" საქართველოს რკინიგზაში საკონტეინერო გადაზიდვების ფირმის თუ სამსახურის უფროსად. რაც შეეხება სადავო ფულს, მე მაქვს აუდიტის დასკვნები ორივე კომპანიაზე („პრომეტკო ჯორჯია" და „ჯე-ეს-კო"), რომ მან ანგარიშიდან გამოიტანა თანხები და ასევე, გადარიცხა „სონატა ალიანს ინკზე", ასევე გადასცა ფოთის წისქვილქარხანას. სავარაუდოდ, ამ ფონდის საბანკო ანგარიში შეივსო მსუყე შემოწირულობით სწორედ „პეისთან" დაკავშირებული ერთ-ერთი ფირმისგან.

**— თუ „პიესი" აფინანსებდა ფონდს, მაშინ ომერ სარი რა ფულს თხოულობს?**

– თანხები ეხება შპს „პრომეტკო ჯორჯიას" და „ჯე-ეს-კოს", ეს ფონდი შარშან გაიხსნა, ხოლო 3000 000 აშშ დოლარის ამბავი 2008-2009 წლებში იყო. „პეისზე" ვერ გეტყვი პირდაპირ, უფრო სწორია თუ ვიტყვით, „პეისთან" დაკავშირებული კომპანიები აფინანსებდნენ ფონდს.

**— წეღან გკითხეთ, ეკა ბესელიას რაც შეეძლო გააკეთა და რამე პრეტენზია გაქვთ მასთან. კერძო ბიზნესის საქმეში ხომ არ ჩაერევა?**

– არ ვითხოვთ მის დახმარებას, ჩვენ განცხადება შევიტანეთ, რომ დაინტერესებულიყო იმ საქმით რომელსაც „ნაციონალები" ეწეოდნენ ფოთის პორტში და კანონიერი რეაგირება მოჰყოლოდა. მან კი განცხადებას საერთოდ არ მისცა რეაგირება და მხოლოდ ნოემბერში გადაგზავნა ფოთის პროკურატურაში, ასევე ვუთხარით ლევან ჯღარკავას შესახებაც, მაგრამ პირიქით რეკომენდაცია გაუწია. ასეთი ფაქტები გვაფიქრებინებს რომ აღარ არის დაინტერესებული სამართლიანობის დამკვიდრებით.

**— კარგით რა, ეკა ბესელიას ეგ როგორ უნდა დასწამოთ, რომ „ნაციონალებს" „აპრავებს"? თუ ხელისუფლებაში ვინმე სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, ერთ-ერთი ბესელიაა.**

– მთელი საქმეც მაგაშია... ეგ კითხვა უმრავლესობის მიმართ თითქმის ყველას აქვს და სწორედ ეგ არ გვესმის... „ნაციონალების" მიერ დალაგებული მონოპოლიური მდგომარეობა ფოთის პორტში ისევ რატომაა? ბესელია, აბა, სხვა დახმარებას ნამდვილად ვერ გასწევს, რადგან დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მონოპოლიური მდგომარეობა შეიქმნა მშრალი ტვირთების მომსახურების სფეროში, გემების რიგი არავის უნახავს ფოთის პორტთან, აქ მხოლოდ ის ტვირთები იცლება, რაც იძულებით ამ მიმართულებაზე მოდის.

**— გაუგებარია, ტერმინალი შემოსავალსა და მოგებას ტვირთების მიღებით და დაცლით იღებს და დოლიძე შეგნებულად მიდის ზარალზე? რაში აწყობს?**

– ეს ახასიათებს მონოპოლიურ მდგომარეობას, იქ ზარალი არ არის, ტარიფებია მაღალი და მის ხარჯზე შემოსავალი ფარავს ხარჯებს. პრობლემა ისაა, რომ ტვირთების რაოდენობა იკლებს, ფოთის პორტის ადმინისტრაციის ცნობით, 2013 წელს ნახევარი მილიონი ტონა ტვირთით ნაკლები გადამუშავდა მშრალი და ნაყარი ტვირთების სეგმენტში, გაიზარდა კონტეინერების ბრუნვა, ესე იგი ის ტვირთები, რასაც უშუალოდ „მაერსკი" ახორციელებს... აქ მოდის მხოლოდ ის ნაკადი, რომელსაც სხვა გზა, უბრალოდ, არა აქვს (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი). მას შემდეგ რაც ბაქო-ყარსი-სტამბული გაიხსნება, ფოთის პორტში უარესი სიტუაცია იქნება.

**— ტარიფებს ხომ სახელმწიფო აწესებს და ამ ნაწილში ბესელია, ან დოლიძე რა შუაში არიან?**

– არა, პორტი სახელმწიფო საკუთრება არაა, ტარიფებს აწესებს კერძო კომპანიები კონკურენციის პირობებში, ფოთის პორტში კი ასეთი მხოლოდ ერთი კომპანიაა, ესაა „პეისი". როტერდამში, ჰამბურგში, კონსტანცაში ასობით ტერმინალია, სხვადასხვა კომპანიები მართავენ და ტარიფებიც კონკურენტულ გარემოში ყალიბდება.

**— ახლა რა ეტაპზეა თქვენი და ბესელიას ურთიერთობა?**

– გამოხმაურება მისგან ჩვენს განცხადებაზე მხოლოდ 2013 წლის ნოემბერში მივიღეთ, როცა გვაცნობა, რომ წერილი ჩვენი განცხადებითურთ გაუგზავნა ფოთის პროკურატურას, საიდანაც გამომძიებელთან მოხვდა 2014 წლის 15 იანვარს.

**„ალია" კომენტარისთვის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას დაუკავშირდა. „საქართველოში არ ვარ, ჩამოვალ 17 თებერვალს და გავერკვევი", — განგვიცხადა მან.**

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „გეგუთის ამბები უმადურობისა და უსამართლობის გამოვლინებაა"



საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, სახელმწიფო ამა თუ იმ პატიმრის რადიკალური გამოხტომების მიხედვით ვერ იცხოვრებს. „გეგუთის მოვლენები პატიმრების მხრიდან დიდი უმადურობისა და უსამართლობის გამოვლინებაა ხელისუფლების მიმართ. სამწუხაროა, რომ პატიმრებმა ასეთი რადიკალური ზომები გამოიყენეს, ასეთი მოქმედების საჭიროება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ის ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ მსგავსი ტიპის პროვოკაციებს, ძალიან უსამართლო ადამიანები არიან. უპრეცედენტო ამნისტიის შედეგად, გასულ წელს, ჩვენ 15 ათასზე მეტი პატიმარი გავათავისუფლეთ, მაგრამ იმ პატიმრებს, რომლებიც საპყრობილეებში დარჩნენ, უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დამთავრდა და წერტილი დაესვა პატიმრებისადმი არაადამიანურ მოპყრობასა და წამებას. არც ერთი ფაქტი არაადამიანური მოპყრობისა არ დაფიქსირებულა საპატიმროებში. თუ ცემას ან ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი, ამდაგვარ ფაქტებს დაუყოვნებლივ ვიძიებდით და ვიძიებთ კიდეც". – აცხადებს ღარიბაშვილი. (ფრონტნიუსი)

### მთაწმინდის გამგეობის თანამშრომელი ქრთამზე დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 2014 წლის 11 თებერვალს, თბილისში, ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა სამშენებლო კომპანია შპს „ბულაჩაურის" დირექტორი ვალერიან კირკიტაძე და მთაწმინდის რაიონის გამგეობის თანამშრომელი გოგა გოგია.

გამოძიებით დადგენილია, რომ გოგიამ კირკიტაძისგან მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ, კერძოდ, კოეფიციენტის უკანონო გაზრდისთვის, ქრთამის სახით 2 500 აშშ დოლარი აიღო.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით და 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით. (ჯი-ეიჩ-ენი)

### მარტის დასაწყისში აბაშიძე-კარასინი შეხვდებიან



რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებით, მას რუს კოლეგა გრიგორი კარასინთან უმაღლეს დონეზე ქართულ-რუსული შეხვედრის შესახებ ჯერ არ უსაუბრია. „ქართული მხარე უმაღლესი დონის შეხვედრისთვის მზადყოფნას მუდმივად აფიქსირებს, მაგრამ, თუკი ის შედგება, შეხვედრა ძალიან სერიოზულ მომზადებას საჭიროებს. ჩვენ რაღაც ახალი მოვისმინეთ. შევხვდები მარტის დასაწყისში კარასინს და ალბათ, იქ უფრო კონკრეტულ რამეს მოვისმენ. შეხვედრა შეხვედრისთვის ამ შემთხვევაში გამართლებული არანაირად არ იქნება. საუბარი უნდა იყოს იმ ურთულეს პრობლემებზე, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს. იგულისხმება ოკუპაცია, კონფლიქტური რეგიონები და ის სირთულეები, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებს ხელს უშლის", – აცხადებს აბაშიძე. (ფრონტნიუსი)



# „შანსზე უარს მხოლოდ იდიოტები ამბობენ“

**ინტერვიუ ექსპერტთან საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, სოსო ცინცაძესთან:**

**— პუტინის განცხადებაზე პრეზიდენტ მარგველაშვილის პასუხი ბევრმა საკმაოდ ადეკვატურად და გააზრებულად მიიჩნია. მან განაცხადა, რომ ქართული მხარე ძალიან სერიოზულად და ზედმიწევნით გაივლის კონსულტაციებს და ჩვენს პოზიციებსაც ჩამოვაყალიბებთო. თქვენ როგორ შეაფასებდით გიორგი მარგველაშვილის პასუხს?**

– მე მარგველაშვილს არ ვცნობ რაიმე გადაწყვეტილების მიმღებ ფიგურად, ამიტომ მის განცხადებებზე დროის დაკარგვა არ ღირს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება პრეზიდენტ პუტინთან შესახვედრად მზაობის შესახებ. მარგველაშვილმა იაროს ფრანგული სახლებისა და საბავშვო ბაღების გახსნაზე.

**— თქვენ ამ პროცესში მარგველაშვილის მონაწილეობას გამორიცხავთ?**

– თუ ჩვენ გვინდა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება იქნას მიღებული, მარგველაშვილს ამ პროცესში ჩართულობა ნაკლებად წარმომიდგენია, ვინაიდან ამ საქმეში მას შეიძლება ჰქონდეს კურიერის ფუნქცია, რაც პრეზიდენტის ტიტულისთვის ცოტა სამარცხვინოა.

**— პრემიერმა ღარიბაშვილმაც განაცხადა, რომ ამგვარ შეხვედრას სერიოზული მომზადება სჭირდება.**

– აბსოლუტურად სწორი განცხადებაა. რაც შეეხება იმას, რა უნდა გაკეთდეს. ეს დამოკიდებულია ჩვენს დიპლომატიურ სიმარჯვესა და პროფესიონალიზმზე. ეს შეხვედრა მეტ-ნაკლებად წარმატებულად უნდა აქციოს ჩვენმა სწორმა დიპლომატიურმა ნაბიჯებმა. კარასინისა და აბაშიძის მოლაპარაკებებ-ის დღის წესრიგი საკმაოდ ვიწრო იყო და აქამდე ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და აპოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. რადგან მინისტრმა ფანჯიკიძემ არ გამორიცხა კარასინ-აბაშიძის შეხვედრაზე ამ საკითხის განხილვა, ეტყობა, ბევრი რამ შეიცვალა. როდესაც პრემიერის სპეცწარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა, მინისტრ ფანჯიკიძის განცხადებები იმაზე მიუთითებდა, რომ ზურაბ აბაშიძე „მის ბოსტანს“ არ შეეხებოდა. როგორც ჩანს, სპეცწარმომადგენლის თანამდებობისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. ახლა შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ ზურაბ აბაშიძეს თავის რუს კოლეგასთან ექნება ამ თემაზე მსჯელობის არა მარტო საშუალება, არამედ უფლებამოსილებაც.

**— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დღეისთვის არც ოფიციალური მოსკოვი და არც თბილისი არ არიან მზად, მხარეებს შორის ყველაზე პრობლემური აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები განხილონ.**

– რა თქმა უნდა, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში გარღვევის მისაღწევად ნიადაგი ჯერ მზად არ არის. როგორც იტყვიან ხოლმე, გზას ის დაძლევს, ვინც გზას არა მარტო დაადგება, არამედ მის დაფარვას შეუდგება. პირველი ნაბიჯის გადადგმისა და დიალოგის დაწყების გარეშე არაფერიც არ შეიძლება მოხდეს.

**— ქართველ ექსპერტთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, როგორც არ უნდა განვითარდეს პროცესები, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი პუტინს კრემლში არ უნდა ეახლოს. ამ საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება როგორია? და კიდევ, ვინაიდან მოსკოვისთვის თბილისთან ამერიკისა და ევროპის გარეშე დიალოგის დაწყება დიდი ხნის ოცნებაა, რა უნდა გააკეთოს ქართულმა მხარემ საიმისოდ, რომ კრემლთან ერთიერთზე მარტო არ დარჩეს?**

– თუ ვინმეს ასეთი აზრი თავში მოსდის და ამას საჯაროდ ამბობს, ის ექსპერტი არ არის. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს. რუსული დიპლომატიის საფირმო ნიშანია მოლაპარაკებებში პარტნიორის დამარტოხელება, შემდეგ ზეწოლით, მუქარით, მათრახითა და თაფლაკვერით ოპონენტის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რაც მისთვის სასარგებლოა. ეს აქსიომაა. მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ აიტანს საქართველოსთან შუამავალს. შუამავლებზე რუსეთი მხოლოდ ირანისა და სირიის საკითხებში დათანხმდა. საქართველო რუსეთთან კიდეც რომ დარჩეს ერთი-ერთზე, ეს პუტინს არ აძლევს გარანტიას, რომ ჩვენ მისთვის და არა ჩვენთვის სასურველ პირობებზე დავთანხმდებით ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების გადაჭრას. პუტინი უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველო მხოლოდ მისი სახელმწიფოებრივ-ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს და ამაზე მტკიცე პოლიტიკური ნებით შეუძლია მასთან ნებისმიერ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყება. გარდა ამისა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ რაც არ უნდა ორმხრივი მოლაპარაკებები გაიმართოს მოსკოვსა და თბილისს შორის, იმავე მოლაპარაკების ოთახში უხილავად მიიღებენ მონაწილეობას ამერიკელებიცა და ევროპელებიც. ეს უკვე ქართული დიპლომატიისთვის რესურსია. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ არა ვართ ის პატარა ბავშვები, რომლებიც მასწავლებლის გარეშე სკოლაში ვერ მიდიან.

**— ექსპერტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართულ მხარეს ძალიან გაუჭირდება კრემლისთვის პასუხის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი თბილისს საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პირობას მისცემს. საერთოდ, საკითხის ამგვარად დასმა რამდენად მართებული და საფუძვლიანია?**

– საერთოდ, ევრაზიის კავშირი რა არის, კაციშვილმა არ იცის. ამ საკითხზე არსებობს პუტინის ერთი სტატია და ნაზარბაევის ერთი კონსტიტუცია, რომლის წაკითხვა პუტინს არც უნდა. არც არ არსებობს, იმ საკითხზე სერიოზული საუბარი შეიძლება? ჩვენთვის რეალურად რაც არის, უკვე არსებულ ევრაზიის საბაჟო კავშირში შესვლის შემოთავაზებაა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ პუტინი ამას არ გვეტყვის. გამორიცხულია, პუტინმა გვითხრას, რომ ის უცებ გაიყვანს სამხედრო ბაზებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. საერთოდ, პუტინს უნდა ევრაზიის კავშირშიც შეგვიყვანოს, საბაჟო კავშირშიც შეგვიყვანოს, ოღონდ ჯარიც ჰყავდეს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. ეს არის სასტარტო მონაცემები, რომლიდანაც ის შეეცდება ჩვენთან მოლაპარაკებების დაწყებას. ამიტომაც მოლაპარაკებები იქნება ძალიან ხანგრძლივი, რთული და, რაც მთავარია, მისი წარმატებისთვის აუცილებელი იქნება ძალზე მკაცრი კონფიდენციალურობა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხელისუფლებამ პუტინთან შეხვედრის შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს



პოლიტიკური ექსპერტის ხათუნა ლაგაზიძის მტკიცებით, დასავლეთს საქართველოსა და რუსეთს შორის ახალი კონფრონტაციული გარემო არ სჭირდება, ამიტომ, მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს და პუტინს აუცილებლად უნდა შეხვდეს. „თუ საქართველოს ხელისუფლება პუტინთან შეხვედრაზე უარს იტყვის, ეს დასავლეთისთვის გაუგებარი იქნება“, – აცხადებს ლაგაზიძე. (პირველი)

## ბათუმის მერის მოვალეობას, სავარაუდოდ, ერმაკოვი შეასრულებს

ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი ჩავლეიშვილის ინფორმაციით, ბათუმის მერის მოვალეობას, სავარაუდოდ, გია ერმაკოვი შეასრულებს. ჩავლეიშვილის თქმით, კონსულტაცია ოთხივე ვიცე-მერთან გაიარა, მაგრამ მათ შორის, გია ერმაკოვი მერის მოვალეობის შემსრულებლის ყველაზე რეალური კანდიდატია.

ბათუმის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 13 თებერვალსაა ჩანიშნული. ამ სხდომაზე გახდება ცნობილი, დააკმაყოფილებენ თუ არა დეპუტატები ჯემალ ანანიძის მოთხოვნას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, ამავე სხდომაზე უნდა გაირკვეს, აირჩევენ თუ არა ერმაკოვს მერის მოვალეობის შემსრულებლად. (ჯიეიჩენი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილი ალიევს შეხვდა



აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტსა და მის აზერბაიჯანელ კოლეგას შორის პირისპირ შეხვედრა გაიმართა. ლიდერებმა ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობა და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონული უსაფრთხოებისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხებს. შეხვედრის შემდეგ, ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს გაფართოებული შემადგენლობითაც შეხვდნენ. მხარეებმა ის კონკრეტული პროექტები განიხილეს, რომლებსაც საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივად ახორციელებენ. კერძოდ, საუბარი შეეხო ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სფეროებში მიმდინარე პროექტებს, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენს. (ჯი-ეიჩ-ენი)

## აკრძალული საგნის შენახვა-ტარებისთვის ბრალი წარედგინა

მსჯავრდადებულ დ.ჭ-ს საქართველოს სსკ-ის 3782-ე მუხლის პირველი ნაწილით, დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვისა და ტარების ფაქტზე ბრალი წარედგინა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიების თანახმად, 2013 წლის 13 დეკემბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8-ე დაწესებულების მსჯავრდადებული დ.ჭ. სხვა დაწესებულებაში გადაყვანის მიზნით საკნიდან საკარანტინო ნაწილში გადაიყვანეს.

დადგენილი წესით მსჯავრდადებულისა და მისი ნივთების შემოწმებისას, დაწესებულების თანამშრომლებმა მჩხვლეტავი, მჭრელი და ბასრი თვისებების მქონე აკრძალული ნივთები ამოიღეს, კერძოდ, დაშლილი ერთჯერადი სამართებელი და ლითონის მაკრატელი.

აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული, სასჯელის სახით, თითოეულ ფაქტზე სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

## „მარიოტი“ საქართველოში გაფართოებას გეგმავს

ეკონომიკისა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „მარიოტის“ წარმომადგენლებს შეხვდა. სამინისტროს ინფორმაციით, „მარიოტის“ წარმომადგენლები საქართველოში ახალი, „მოქსის“ ბრენდის შემოსვლით არიან დაინტერესებული. „მოქსი“ წარმოადგენს „მარიოტის“ ჯგუფის ბრენდს, რომელიც თავისი ხარისხით, სერვისითა და ხელმისაწვდომობით ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„საქართველოს დიდი შესაძლებლობები აქვს. გვიხარია, რომ ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან ძლიერი მხარდაჭერა გვაქვს. საქართველოს ბაზარს ვიკვლევთ. ძალიან კარგი საფუძველი არსებობს აქ იმისთვის, რომ მომდევნო წლებში საქართველოს ბაზარზე რეალიზება მოვახდინოთ. ეს იქნება პირველი საერთაშორისო მცდელობა იმისა, რომ „მოქსის“ ბრენდი აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე გავაფართოოთ. ჩვენ აქ ძალიან კარგი პარტნიორები გვყავს“, – განაცხადა „მარიოტის“ სასტუმროების საერთაშორისო განვითარების ვიცე-პრეზიდენტმა მარკუს ლენერტმა.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში პირველი ქვეყანა იქნება, სადაც „მოქსის“ ბრენდის სასტუმრო აშენდება.

„ამ დროისთვის საქართველოში, კერძოდ, თბილისში ორი სასტუმროთი ვართ წარმოდგენილი. გვიხარია, რომ თქვენს ქვეყანაში წარმატებით ვმოღვაწეობთ. კმაყოფილები ვართ ქართველი პარტნიორებით და მათი მუშაობით. ჩამოვედით, რათა ადგილზე შევისწავლოთ ბაზარი და ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ახალი ბრენდი ბაზრის მოთხოვნებს“, – განაცხადა „მარიოტის“ ქსელის აღმოსავლეთ ევროპის ვიცე-პრეზიდენტმა ივიცა ჩაჩიცამ.

პირველ ეტაპზე, ინვესტორები ბათუმითა და ლიკანით დაინტერესდნენ. უახლოეს დღეებში ბათუმში ჩასვლას და ბათუმი თაუერის დათვალიერებას გეგმავენ. (ინტერპრესნიუსი)

## კატებს ტუბერკულოზის გავრცელება შეუძლიათო



უმრავლესობას ამ შინაური ცხოველის მიმართ ძალიან თბილი გრძნობები უჩნდება. ჰოდა, სულ ტყუილად, მეგობრებო, სულ ტყუილად!

ვეტერინარების თქმით, სავსებით შესაძლებელია, კატა ადამიანისთვის სასიკვდილოდ სახიფათო საფრთხეს წარმოადგენდეს.

საქმე ისაა, რომ მათ შეუძლიათ ადამიანის დაავადება ტუბერკულოზის საშიში შტამით, რომელიც მსხვილფეხა საქონელს გამოუვლინდა. გარდა ამისა, ვირუსი შეიძლება კატებს მღრღნელებთან კონტაქტის შედეგად გადაედოთ, ან ვთქვათ, ძროხის რძის დალევის შემდეგ.

დიდი ბრიტანეთის ვეტერინართა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი კარლ პაჯეტი განმარტავს, რომ მოცემულ სიტუაციაში რეალურ პრობლემებს წარმოქმნის ის, რომ კატები ჩვეულებრივ, სახლში, ადამიანთან უშუალო სიახლოვეში ცხოვრობენ.

ამის პარალელურად, ედინბურგის უნივერსიტეტის ვეტერინარული კვლევების სამეფო სკოლის სპეციალისტები ამბობენ, რომ 100 ათასიდან 100 კატას ტუბერკულოზის ესა თუ ის ფორმა გამოუვლინდა, რაც მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე მეცნიერებს აქამდე ეგონათ.

სპეციალისტების რჩევაა, მაქსიმალური ყურადღება დავუთმოთ კატების ჰიგიენას, განსაკუთრებით, მათი სხვა ცხოველებთან კონტაქტის შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა, სხვადასხვა მძიმე ავადმყოფობით იყვნენ დაავადებულნი.

*globalscience.ru*

## რატომ აქვს ყველა ძუძუმწოვარს ორზე მეტი სარძევე ჯირკვალი და ქალებს მხოლოდ ორი?



ძუძუმწოვრების კლასის წარმომადგენლებში, რომელსაც, მოგეხსენებათ, ადამიანიც განეკუთვნება, სარძევე ჯირკვლების რაოდენობა 2-დან 16-მდე მერყეობს.

ბიოლოგიური წესების შესაბამისად, ყოველ სახეობას სარძევე ჯირკვლების რაოდენობა 2-ჯერ მეტი აქვს იქიდან გამომდინარე, თუ რამდენი ნაშიერის გაჩენა შეუძლია ერთჯერადად დაფეხმძიმების შედეგად.

როგორც წესი, ადამიანი აჩენს 1 შვილს და შესაბამისად, სარძევე ჯირკვლების რაოდენობა 2-ია.

*factroom.ru*

## ანატიდაეფობია — შიში, რომ მსოფლიოს რომელიღაც წერტილში არსებობს იხვი, რომელიც გითვალთვალებთ



საერთოდ, ნებისმიერი ფობია უცნაურია, მაგრამ ასეთი უცნაურობის შესახებ კი ნამდვილად არ გვსმენია.

ანატიდაეფობია – ეს არის აკვიატებული შიში იმისა, რომ სადღაც, მსოფლიოს რომელიღაც წერტილში აუცილებლად არსებობს იხვი, რომელიც გითვალთვალებთ.

თურმე, ადამიანები, რომლებსაც მათდა საუბედუროდ ანატიდაეფობია უჩნდებათ, დარწმუნებულები არიან, რომ უნდა ერიდონ იხვებს, რადგან ერთ-ერთი მათგანი უცილობლად დასდევს კუდში და მოსვენებას არ აძლევს. სადაც არ უნდა იყვნენ, რასაც არ უნდა აკეთებდნენ, იხვი უყურებს, უყურებს, უყურებს...

როგორც ყველა ფობია, ანატიდაეფობიაც რეალურ უსიამოვნებას უკავშირდება, რომელიც ადამიანს ბავშვობაში ან ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეემთხვა.

რამდენადაც ცნობილია, გედები, ბატები და იხვები ზოგჯერ საკმაოდ აგრესიულები არიან ხოლმე და მწარედაც იკბინებიან. გარდა ამისა, გამოსცემენ უჩვეულო ხმებს.

მართალია, ანატიდაეფობიის განსაზღვრება ბევრს სასაცილოდ ეჩვენება, მაგრამ თავად ამ ფობიის მსხვერპლთ სამხიარულოდ საქმე ნამდვილად არ აქვთ. ფობიის შეტევების სიმპტომებია: გულისრევა, თავბრუსხვევა, პანიკური შეტევები და ასე შემდეგ.

*vk.com*

## რამდენად ხშირად ღალატობენ ცოლები ქმრებს?



მოდით, შევთანხმდეთ, რომ უაზრობაა იმაზე კამათი, თუ ქმარი ღალატობს ცოლს, ცოლმა რატომ არ უნდა უღალატოს ქმარსო?

თუ შევთანხმდით, ხომ კარგი, თუ არადა, იკამათეთ, ბატონო – კამათში იბადება ჭეშმარიტებაო, ჭკვიან ხალხს უთქვამს.

– ქალებში ღალატის შემთხვევები გაზრდილია, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს მეცნიერებმა სულ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად.

მათი განმარტებით, მიზეზი ონლაინ-ურთიერთობა და ფინანსური დამოუკიდებლობაა.

ცნობილია ისიც, რომ უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე მოღალატე ცოლების რაოდენობამ 40 პროცენტს მიაღწია, ანუ ქმარს ყოველი მე-7 ცოლი ღალატობს.

რაც შეეხება ძლიერ სქესს, ცოლს ყოველი მე-5 ქმარი ღალატობს.

*myjane.ru*

## ცხოველთა სამყაროს ყველაზე სასტიკი დედები



გადარჩენისთვის ბრძოლა ცხოველთა სამყაროში ზუსტად დაბადების პირველივე წამებიდან იწყება. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ ხშირად, ცხოველთა ნაშიერებისთვის საფრთხეს არა მხოლოდ მტაცებლები, არამედ საკუთარი მშობლებიც კი წარმოადგენენ ხოლმე.

და როგორი გულის ამაჩუყებელი ისტორიებიც არ უნდა მოვისმინოთ ხანდახან ცხოველთა დედობრივი ინსტინქტების შესახებ, რეალობა სრულიად სხვაგვარი და თან ძალიან მკაცრია, უმკაცრესი!

– ლომი – მართლაც გულის ამაჩუყებელია უყურო, როგორ ეთამაშება ლომი თავის უსაყვარლეს ბოკვერებს, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ჩვეულებრივ, დედა ლომი ყურადღებას მხოლოდ მდედრებს უთმობს. რაც შეეხება მამრ ბოკვერებს, დედა ლომს შეუძლია სრულიად აუღელვებლად უცქიროს, როგორ კლავს მის ნაშიერს რომელიმე ზრ-



დასრული ლომი. სპეციალისტების თქმით, ზრდასრული ლომები ხშირად იშორებენ პოტენციურ კონკურენტებს, თუნდაც ეს მათი საკუთარი ნაშიერები იყვნენ.

– პანდა – ესეც ერთ-ერთი ძალიან საყვარელი ცხოველია, რომლის წონაც 70-100 კილოგრამს უახლოვდება. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა დედა პანდები ახალშობილებს, რომელთა წონა მხოლოდ 80-140 გრამი თუა, უბრალოდ, ჭყლეტენ.

– ჭიანჭველა – ზოგიერთი სახეობის ჭიანჭველას მართლაც შემზარავი წესები აქვს:



კოლონიის დედოფალი და მუშა ჭიანჭველები ახალშობილის ჭუპრს ხვრეტენ და დიდი ხნის მანძილზე მისი, სანამ ის ცოცხალი რჩება, ჰემოლიმფით იკვებებიან. მეცნიერებმა ამ მოვლენას ტერმინიც მოუფიქრეს – არასრული კანიბალიზმი.

– აფრიკული შავი არწივი – ჩვეულებრივ, მის ბუდეში ორი კვერცხი გვხვდება ხოლმე, მაგრამ სიცოცხლეს მხოლოდ ერთი აგრძელებს. როგორც კი კვერცხები ტყდება, მათ შორის უსასტიკესი ბრძოლა იწყება, რასაც დედა არწივი აბსოლუტური სიმშვიდით უცქერს.

– გალაპაგოსის კუნძულების ზვიგენი – ეს სახეობა ცოცხლადმშობთა კატეგორიას განეკუთვნება და როგორც კი იმშობიარებს, ნაშიერები შუა წყალში ხვდებიან. საქმე აქ სულაც არ არის იმაში, რომ მათ ასე უფრო ადვილად შეუძლიათ საკვების მოპოვება, არამედ მთავარი გახლავთ ის, რომ როგორც კი დედა შთამომავლობას წარმოშობს, თავადვე შეუძლია მათზე ნადირობა, თუკი სადმე ერთმანეთის გზები გადაიკვეთა.

– ბარიბალი, ანუ შავი დათვი – არც კი დაფიქრდება, ისე მიაგდებს ბელს ბედის ანაბარა, თუკი ის ქვეყნიერებას მარტო მოევლინება. თურმე, ამ სახეობის დათვი მხოლოდ რამდენიმე ნაშიერზე ზრუნავს, ერთს კი ყურა-



დღებას არ აქცევს.

– გუგული – ამ ფრინველის „კაი ქალობის“ ამბავი ბავშვობიდან ყველამ კარგად ვიცით. აბა, რატომ უნდა იზრუნოს მან ბარტყებზე, როცა შეიძლება კვერცხები სხვის ბუდეში დადოს? რაც მთავარია, გუგულები კვერცხიდან ძალიან მალე იჩეკებიან და როგორც წესი, „გერ“ და-ძმებს ბუდიდან ყრიან ხოლმე.

– ბეღურა – ის ბარტყებზე ძალიან უცნაურად ზრუნავს: სხვა მდედრი ბეღურების ბარტყებს ხოცავს, რომლებთანაც მისი შვილების მამა შეჯვარდა.

*novostinauki.ru*

## ექიმები — ყოველდღე ვარჯიში აუცილებელი სულაც არ არის



– ყოველდღე ვარჯიში ზუსტად ისეთ შედეგს იძლევა, როგორც ვარჯიში კვირაში ორი დღე, – ამტკიცებენ კანადელი მეცნიერები.

მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეობა 2 ათასამდე ადამიანმა მიიღო, რომელთა შორის იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები.

მოხალისეები ორ ჯგუფად გაყვეს. თითოეულ მათგანმა მიიღო მოძრაობის დამაფიქსირებელი სპეციალური მოწყობილობები.

პირველი ჯგუფის წევრები ვარჯიშობდნენ ყოველდღე, მეორე ჯგუფის კი – კვირაში ორჯერ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ სპეციალისტებმა მათი მდგომარეობა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ სხვაობა, ფაქტობრივად, უმნიშვნელო იყო.

ფიზიკური დატვირთვისას მთავარია არა სატრენაჟორო დარბაზში მისვლის რაოდენობა, არამედ ხანგრძლივობა. კერძოდ, კვირაში სავსებით საკმარისია ვარჯიში 150 წუთის მანძილზე და როგორ გადაანაწილებთ ამ დროს, ეს თქვენი გადასაწყვეტია.

*pronowosti.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

1. მსახიობი ალისა ...
2. მწვერვალი ყაზბეგი, იგივე ...
3. რივზი ფილმში „... ადვოკატი"
4. თბილისის უბანი
5. მგელები: ბაბრო და ...
6. მსახიობი ... ჯაროტი
7. ხორცის ნაჭერი
8. ფედერიკო გარსია ლორკა. „ბერნარდა ... სახლი"
9. ტაძარი ქუთაისში
10. ფურცლის ერთი მხარე
11. ორატორის მაგიდა
12. ინის საპირისპირო
13. კომპოზიტორი დიმიტრი ...
14. ისტორიული კრეისერი
15. შენობა, ესვენა ლენინი
16. მხ/ფ „... არდადეგები"
17. სახელმწ. ... და ტობაგო
18. საბჭოთა პერიოდის შეფასება: ზუსტი ან ...
19. იალქანი
20. ლორების ჯოგი
21. გრძელი, ვიწრო ხალიჩა
22. პარკოსანი მცენარე
23. ხის სახლი იმერეთში
24. იოჰან ... ბახი
25. კანის ინფექც. დაავადება
26. უკანონოდ მონადირე
27. ბრონტე. „ჯეინ ..."
28. ფედერიკო ფელინის ფილმი
29. ... ლონიერია თუ კაცი გონიერია
30. კამიუ: სიზიფ ... პატრონიანი
31. უმაღლესი ხარისხის მინა
32. ესპანური დასაკეცი დანა
33. გათბობის საბჭოთა სისტემა
34. მსახიობი ... კოსტნერი
35. მსახიობი ... გარდნერი
36. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
37. მსახიობი ... სინიორე
38. კონტინენტი
39. მხატვარი ... აზველდიანი
40. ფეხბურთელი ... ბეკჰემი
41. „მდიდარს ართმევს ... აძლევს ღმერთი როგორ წაახდენსა"
42. მამიდადი
43. იაპონური ავტომობილი
44. ტბა ჯავის რაიონში
45. სხეულის ნაწილი
46. ძვირფასი ლითონი
47. თავსატეხი ნახატებით
48. „... ჯადოსნური ლამპარი"
49. მხატვარი ოგიუსტ ...
50. პოეტი ... აბაშიძე
51. მეზღვაური არაბულ ზღაპრებში
52. ზანდუკი
53. ხაფანგი
54. სტალინის დედა
55. მინის ჭურჭელი თევზებისათვის
56. ხორბლის შეჭამანდი
57. ცეკვა „ქართულ რუმბი"
58. ილუზიონისტი დევიდ ...
59. საქონლის ხორცის ნაჭერი
60. მდინარის ტრანსპორტი
61. პოეტი შიო ...
62. კედლის შანდალი
63. საჭმლის მომნელებელი ორგანო
64. შოკოლადის ხის ნაყოფი
65. მდინარე კახეთში
66. საბირუჟებლი იტალიაში
67. ზრდადაუსრულებელი ქათამი
68. დეპი ფილმში „... სიზმარი"
69. წარწერა საფლავის ქვაზე
70. დგამი, ანუ ...
71. მსახიობი ... ელექტრა
72. რადიოლოკატორი
73. ცისარტყელას ფერი
74. ქურქელი ზოგადად
75. კომპოზიტორი მორის ...
76. დიდი სადგურის შენობა
77. სპორტის სახეობა
78. წყლიანი ადგილი უდაბნოში
79. კომპოზიტორი ზაქარია ...
80. მსახიობი ... იოვოვიჩი
81. საზოგადოების ზედა ფენა
82. ძვ. საბერძნეთის ცეკვა
83. მსახ. ... ფიორენტინო
84. თამაშში: არჩევანი და ...
85. საქონლის გულღვიძლი
86. ფრანგი მომღერალი ქალი
87. ტომ სოიერი და ჰეკლბერი ...
88. გაზაფხულის თვე
89. იგი ქვაზე მიდის უყვარდა
90. საქმეში ჩადებული წილი
91. შენობის წინ სიძველე
92. მიწა, გრუნტი
93. ... სუხიშვილი
94. საშენებლო მასალა
95. მხ/ფ „... ოკეანოს უბიდან"
96. ფოთოლი კანადის დროშაზე
97. ბრინჯაო, ანუ ...
98. გაზეთების ჯიხური
99. საბჭოთა მომღერალი მარია ...
100. მსახიობი ... ასანტე
101. რეჟისორი შოთა ...
102. მხატვარი ედგარ ...
103. მსახიობი ... თბილელი
104. ინდური ფულის ერთეული
105. მსახიობი ... ლეონარდო დი ...
106. ინგლისური ლუდი
107. პოეტი ... ევდოშვილი
108. სომხეთის დედაქალაქი
109. მოცეკვის რწმენა
110. ესპანეთის დედაქალაქი
111. „მაუგლი" აფაზა
112. ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო
113. უმაღლესი ხარისხის ბროლი
114. ქალაქი ბელგიაში
115. მუსიკოსი ... გოგელსი
116. მინდვრის ყვავილი
117. ყარყატის მონათესავე ფრინველი
118. ურყოფითი პასუხი
119. დაკოდილი ცხენი
120. მოგზაური ... პოლო
121. მსახიობი ... ნაიტლი
122. ყვავილი
123. კარტოფილის კერძი
124. ორიანი ნარდში
125. ბრინჯის კერძი
126. ცხენების სადგომი
127. სოფელი ფილმის ხევსურეთის რაიონში
128. „მე ვხედავ მზეს" პერსონაჟი
129. მსახიობი ... სტრიპი
130. გამის ნოტი
131. ოთხი დარბაზის წინ
132. მსახიობი ... პარიო
133. ნაბიჯი ბალეტში
134. ყვავის ბარტყი
135. პატარა ტანის ძაღლი
136. ქართ. სპორტ. გაზეთი
137. ეპიერდელის პაპიროსის გემი
138. მოცეკვავე ... ფოჩიანი
139. სოფელი სიღნაღის რაიონში
140. ცსადე ფილმში „ქალაქი ..."



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ტკბილი ნივთიერება
2. თევზის ჯიში
3. ყავის ჯიში
4. რძის პროდუქტი
5. ისტორიული კრეისერი
6. შხამიანი მწერი
7. ქალაქი იტალიაში
8. ბრტყელი თევზი
9. რეჟისორი პედრო ...
10. ... ჭავჭავაძე
11. მსახიობი ქეით ...
12. რეჟისორი ელდარ ...
13. მოგზაური ...-მაკლაი
14. ბრინჯაო
15. ქალაქი საფრანგეთში
16. ნაწარმოების ძირითადი მელოდია
17. მოსევადების ტექნიკა
18. ქალაქი რუსეთში
19. ძალიან ჭკვიანი ბავშვი
20. კომპოზიტორი მიქაელ ...
21. ველური ცხენი
22. მომღერალი ... კუტუნიო
23. მწერალი ვიტალი ...
24. ყვავილი
25. ... ბაბაჯანიანი
26. ამერიკელი მომღერალი ქალი
27. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
28. მსახიობი ... პელტროუ
29. დაბალი ხარისხის კონიაკი
30. „კუჩხი ბედინერი" ძაღლი
31. მგალობელი ფრინველი
32. მსახიობი ედრიან ...
33. „... დე ბერჟერაკი"
34. მზის ღვთაება ეგვიპტეში
35. მსახიობი ... აფლეკი
36. სახოტბო ლექსი
37. კეთრი
38. ფიზიკოსი. ცნობილია სიცარიელით
39. მსახიობი ... ფრეიზერი
40. თამბაქოს მოსაწევი ხელსაწყო
41. მსახიობი ... ბენინგი
42. ბუმბულის ცვლა
43. სანაგვე ყუთი
44. დაქირავებული კავალერი
45. ტაბიძე. „მე და ..."
46. ლატვიის დედაქალაქი
47. ზამბახი
48. მსახ. ... ბეგალიშვილი
49. დაუკოდავი საქონელი
50. ხელის საგრილებელი
51. იაზონის გემი
52. სოფელი რაჭაში
53. პოეტი ... კალანდაძე
54. მიწის ფართობის ერთეული
55. ბულგარული არაყი
56. პერუს დედაქალაქი
57. რაჯ კაპურის ფილმში
58. მსახიობი ... რივზი
59. სპორტის სახეობა
60. მსახიობი ვახტანგ ...
61. მომღერალი ლედი ...
62. პატარა მდინარე
63. ვაჟიშვილი
64. ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში შიშის დროს გამოიყოფა
65. პერსონა ...-გრატა
66. ანიკოს პირველი ქმარი (ფილმიდან)
67. ...-ვეგასი
68. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფ.
69. მოგებული პარტია ნარდში
70. ძველი აღთქმის წიგნი. დავითნი
71. ანტიკური საბერძნეთი
72. ცისარტყელას ფერი
73. სამგზავრო პლასტიკური ბარათი
74. მსახიობი მონიკა ...
75. თქმულება რამაზე
76. მოცეკვავე ... დოლაბერიძე
77. კერამიკის თეთრი თიხა
78. მიქელანჯელოს ქანდაკება „დატირება", ანუ ...
79. ძალიან თხელი, ანუ ...
80. ჟამი
81. კუ. ჰქონდა ოქროს გასაღები
82. უფრო ცუდი, ანუ...
83. ზამთრის სპორტის სახეობა
84. ყაიმი
85. აკლდამა
86. საზოგადოების ნაღები ფენა
87. რეჟისორი ... სკოლა
88. ზღაპრული ფრინველი
88ა. მხატვარი ... გრეკო
89. გადამყიდველი, ანუ ...
90. მაკარონი კოტლეტის გვერდით
91. ტენორი ხოსე ...
92. ძვ. რომაელი პოეტი
93. ლითონის კონუსი შილის ბოლოზე
94. მით. მედუზა გველის თმებით
95. უდაბნო აფრიკაში
97. გასაღები
99. ბალაგანის მსახიობი
100. შვიდი დღე
101. თვალის ბუდე
102. ბიბლიური მოსეს ძმა
103. ჩიბუხი
104. მდინარე ინდოეთში
105. მომღერალი ... ჯორჯი
106. მსახიობი ... ჰეჩი
107. მხ/ფ „... გურიაში"
108. გარეული ფრინველი
109. გემების სარემონტო ადგილი
110. მწერალი ... ბრაუნი
111. მომღერალი ... მარლი
112. ... კუზანოვი
113. კავშირი, გაერთიანება
114. ... არაბეთს როსტევან
115. გველის შხამი
116. მსახ. ... სილვერსტოუნი
117. ტბა სომხეთში
118. ბურატინოს მეგობარი
119. „მეფე ერეკლე და ... ქალი"
120. მუხის ქერქი ერთგვარი
121. კომპოზიტორი ედვარდ ...
122. მომღერალი იოსებ ...
123. მდინარე ესპანეთში
124. ინერტული აირი
125. მსახიობი მაიკლ ...
126. იტალიელი მხატვარი
127. წონის ძვ.ქართ. ერთეული
128. მსახიობი ბრედ ...
129. შვედური ხურდა ფული
130. „... სწავლის მეძიებელო, მიჰყევ დავითის მცნებასა"
131. მსახიობი ... ვენტურა
132. ფირმა „...-პარი"
133. მსახიობი ... ვარდალოსი
134. აკვიატება
135. ერთგვარი კანფეტი
136. მწერალი ... ქიაჩელი
137. მსახიობი ... აფლეკი
138. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
139. ნახტომი ...-მორტალე
140. მსახიობი ... დეინსი
141. მსახ. ... ფრეინდლიხი
142. ფარული დაცინვა
143. „... ჩამოვიდნენ მთიდან"
144. განთიადი



პასუხები: 1. შაქარი; 2. კალმახი; 3. მოკო; 4. დო; 5. ‘ავრორა"; 6. კრაზანა; 7. მილანი; 8. კამბალა; 9. ალმოდოვარი; 10. ილია; 11. უინსლეტი; 12. რიაზანოვი; 13. მიკლუხო; 14. რვალი; 15. რუანი; 16. ლაიტმოტივი; 17. ნიელო; 18. ვორონეჟი; 19. ვუნდერკინდი; 20. ტარივერდიევი; 21. მუსტანგი; 22. ტოტო; 23. ბიანკი; 24. ია; 25. არნო; 26. ენია; 27. სან; 28. გვინეტ; 29. ბრენდი; 30. ბროლია; 31. ბულბული; 32. ბროუდი; 33. სირანო; 34. რა; 35. ბენ; 36. ოდა; 37. ლეპრა; 38. ტორიჩელი; 39. ბრენდან; 40. ნარგილე; 41. ანეტ; 42. განგური; 43. ურნა; 44. ჟიგოლო; 45. ღამე; 46. რიგა; 47. ირისი; 48. ბადრი; 49. ბულა; 50. მარაო; 51. ‘არგო"; 52. ირი; 53. ანა; 54. აკრი; 55. რაკია; 56. ლიმა; 57. ‘ავარა"; 58. კიანუ; 59. რაგბი; 60. ნინუა; 61. გაგა; 62. ნაკადული; 63. ძე; 64. ადრენალინი; 65. ნონ; 66. კია; 67. ლას; 68. ფრი; 69. ოინი; 70. ფსალმუნი; 71. ელადა; 72. იისფერი. 73. მეტრომანი; 74. ბელუჩი; 75. ‘რამაიანა"; 76. იამზე; 77. კაოლინი; 78. ‘პიეტა"; 79. სიფრიფანა; 80. დრო; 81. ტორტილა; 82. უარესი; 83. ბიათლონი; 84. ფრე; 85. მავზოლეუმი; 86. ელიტა; 87. ეტორე; 88. ფასკუნჯი; 88ა. ელ; 89. ჩარჩი; 90. გარნირი; 91. კარერასი; 92. ოვიდიუსი; 93. ბრანდსპოიტი; 94. გორგონა; 95. ნამიბია; 96. კომედიანტი; 97. ელიტა; 98. იანკი; 99. ინდიანა; 100. კვირა; 101. ფოსო; 102. აარონი; 103. ყალიონი; 104. განგი; 105. ბოი; 106. ენ; 107. ჯანყი; 108. ყვავი; 109. დოკი; 110. დენ; 111. ბობ; 112. ივა; 113. ალიანსი; 114. იყო; 115. გესლი; 116. ალისია; 117. სევანი; 118. არლეკინი; 119. ინგილო; 120. კორპი; 121. გრიგი; 122. კობზონი; 123. ებრო; 124. ნეონი; 125. დუგლასი; 126. ვერონეზე; 127. ოყა; 128. პიტი; 129. ერე; 130. იცმინე; 131. ლინო; 132. ისი; 133. ნია; 134. მანია; 135. ნუგა; 136. ლეო; 137. ბენ; 138. სან; 139. სალტო; 140. კლერ; 141. ალისა; 142. ირონია; 143. ისინი; 144. ალიონი. იკითხება: ქამელეონი. ლოტოსი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## შურიანმა ქირურგმა პაციენტს კაცობა დააკარგვინა



ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერთ, საშინელი განცდა გვეუფლება და ეჭვი გვაქვს, თქვენც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდებით. თუ არა და აგერ ნახეთ:

თურმე, ერთმა შურიანმა და ნევროზით შეპყრობილმა რუმინელმა ქირურგმა, რომელიც პაციენტს ბრმა ნაწლავის ოპერაციას უკეთებდა, იმის გამო, რომ ავადმყოფის მამაკაცური საწყისის დიდმა ზომამ გააღიზიანა, მას „ის“ ძირში წააჭრა.

როგორც ქირურგის დამხმარე პერსონალი იხსენებს, უეცრად საშინელი გინება შემოესმათ და როდესაც ექიმს შეხედეს, მას პაციენტის „ის“ უკვე ხელში ეკავა.

შურიანი და ნევროზიანი ექიმი საოპერაციოდან მაშინვე გაიყვანეს, თუმცა, საცოდავ მამაკაცს, რომელსაც მხოლოდ ბრმა ნაწლავი აწუხებდა, „ღირსების“ აღდგენა ვეღარ მოუხერხეს.

ინფორმაცია, რომელიც ამ დროისთვის ვრცელდება, არის ის, რომ დაზარალებული საავადმყოფოსგან ასტრონომიული თანხის გადახდასა და „იმის“ აღდგენას მოითხოვს.

შეძლებენ თუ არა რუმინელი სპეციალისტები საშინელი შედეგით დასრულებული უწყინარი ოპერაციის შედეგის გამოსწორებას, არ ვიცით, თუმცა, სუფთა მამაკაცური პოზიციიდან, დაზარალებულს უდიდეს თანაგრძნობას ვუცხადებთ.

*etotupo.ru*

## რეზინს ტყუილად ხარჯავთო და... ინდოელებისთვის პატარა ზომის პრეზერვატივების გამოშვებას ითხოვენ



– სულ ტყუილად იხარჯება რეზინი, რადგან ინდუსი მამაკაცებისთვის პატარა ზომის პრეზერვატივებიც სრულიად საკმარისია, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს ექიმებმა კვლევის ჩატარების შედეგად და იქაური კაცები მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეარცხვინეს.

როგორც ირკვევა, კვლევაში ინდოეთის თითქმის ყველა რეგიონში მცხოვრებმა რამდენიმე ათასმა მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც მედიკოსებმა „მამისოულის“ ზუსტი ზომები აუღეს და დაადგინეს, რომ 60 პროცენტს საამაყოდ სულაც არ ჰქონია საქმე.

ინდოეთის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელი, ჩანდერ პური, რომელმაც ერთი თვის მანძილზე, ალბათ, იმდენი „საოხრე“ ნახა, პორნოვარსკვლავებს სიზმარშიც რომ არ დაულანდავთ, განმარტავს, რომ პრეზერვატივების ზომების შემცირება საჭიროა არა მხოლოდ რეზინის ეკონომიისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ მამაკაცების ფსიქოლოგია არ დაზარალდეს.

– როცა პრეზერვატივი აშკარად დიდია, ამან შეიძლება, სუსტ სქესში ირონია გამოიწვიოს, მამაკაცები კი ასეთ დაცინვებს ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ, – ამბობს ინდუსი ექიმი, რომელსაც კვლევის ჩატარება, პირველ რიგში, ალბათ, საკუთარი პრობლემის მოგვარებისთვის თუ დასჭირდა...

*mainfun.ru*

## ციხეში უკანონოდ შეტანილ მობილურებს ძაღლი ყნოსვით პოულობს



სხვადასხვა ნივთიერების მოძიება რომ შეუძლია ძაღლს, ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ გაცილებით საინტერესო უნარით ყოფილა გამორჩეული ნორვიჩის (დიდი ბრიტანეთი) ციხის მიერ გაწვრთნილი „ოთხფეხა ინტელექტუალი“, სახელად მერფი, რომელიც საკანში უკანონოდ შეტანილ მობილურ ტელეფონებს უპრობლემოდ პოულობს.

მერფის გასაწვრთნელად ციხის ადმინისტრაციას 7 თვე დაუხარჯავს, რა დროსაც ძაღლს 20-დან ერთ-ერთი სპეციფიკური სუნის გარჩევა ასწავლეს, რომელსაც თურმე, მობილური გამოსცემს.

საინტერესოა, რომ მერფის იმდენად განვითარებული ყნოსვა ჰქონია, მცველების აპარატების სუნს არასოდეს ურევს ციხეში უკანონოდ მოხვედრილი აპარატების სუნში.

*vesti.ru*

## სიგარეტის გადაგდება ჩაის ფილტრებით იქნება შესაძლებელი?



ჩინელი მკვლევარების ჯგუფმა სიგარეტის საკმაოდ სპეციფიკური ფილტრი შექმნა, რომელიც ჩაის ფოთლებისგანაა დამზადებული და როგორც მისი ავტორები ამტკიცებენ, ახალი ტიპის ფილტრი სიგარეტის გადაგდებაში ყველაზე სტაჟიან მწეველსაც კი დაეხმარება.

თურმე, ჩაის ფილტრი დიდი რაოდენობით ტეანინს გამოიმუშავებს, ნივთიერებას, რომელიც ადამიანს ნიკოტინზე დამოკიდებულს არ ხდის და უფრო მეტიც, ე.წ. „ლომკისგანაც“ ადვილად ათავისუფლებს.

ცნობილია, რომ ჩინელების ამ სიახლემ გამოცდები პეკინში უკვე გაიარა და 100-დან 70 მწეველს მავნე ჩვევაზე უარის თქმაში დაეხმარა.

გარდა ამისა, ვინც სიგარეტის გადაგდება ბოლომდე ვერ შეძლო, ჩაის ფილტრის დახმარებით, მოწევის სიხშირე საშუალოდ 43 პროცენტით შეამცირა.

დაბოლოს, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ნივთიერება ტეანინი ხელს უშლის ნიკოტინს ფილტვების დაბინძურებაში და მის ნეგატიურ გავლენას მნიშვნელოვან წინააღმდეგობს უწევს.

დათანხმდა თუ არა ჩაის ფილტრიანი სიგარეტის წარმოებას რომელიმე კომპანია, ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ ზუსტდება და პრინციპში, მათი უარი გასაკვირი არც არავისთვის უნდა იყოს.

*factroom.ru*

## იტალიაში მონასტერი ნარკოტიკებით ვაჭრობაში ამხილეს



სკანდალი აგორდა იტალიაში, სადაც პოლიციამ ნარკოტიკებით ვაჭრობის საოცარ არხს მიაგნო, რომელიც მილანის რაიონში მოქმედ მონასტერს ეფარებოდა. გამოძიების ინფორმაციით, სქემა მონასტრის წინამძღვრის მიერ იყო შემუშავებული, რომელიც იტალიაში სამხრეთ ამერიკიდან ჩავიდა. მან ორგანიზება გაუწია „ძმების“ მთელ ქვეყანაში მოგზაურობას, რა დროსაც ხდებოდა კიდეც ნარკოტიკების გადატანა, აკრძალულ ნივთიერებას კი ბერები რელიგიურ წიგნებში მალავდნენ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბერების დიდმა ნაწილმა, რომლებიც მონასტერში ცხოვრობდნენ, აღნიშნული უკანონობის შესახებ არაფერი იცოდა. საერთო ჯამში, პოლიციამ 33 ადამიანი დააკავა და 30 კილოგრამი ჰეროინი ამოიღო.

*vesti.ru*

## ასზე მეტი ახლად გამოშვებული „პორშე“... დაიმტვრა



სულ რომ არ მოსწონდეს ადამიანს ეს ავტომობილი და თუნდაც, ახლად გამოშვებულ „ზაპოროჟეცს“ ეხებოდეს საქმე, მაინც დასანანია, როცა მანქანა თავის პატრონს „ცალი თვალითაც“ ვერ შეხედავს და სპიდომეტრზე 25 კილომეტრ/საათის სიჩქარესაც ვერ აჩვენებს.

ინციდენტი გერმანიაში, კერძოდ ქალაქ დილენბერგთან ახლოს მოხდა – „პორშეს“ ახლად გამოშვებული მოდელებით დატვირთული მატარებელი რელსებიდან გადავიდა და საერთო ჯამში, 106 ცალი ავტომობილი დაილეწა.

წინასწარი შეფასებით, მინიმუმ 20 მანქანა ჯართშია გადასაგდები, დანარჩენის გადარჩენა კი შესაძლებელი ყოფილა.

ერთი კი გასახარია – შემთხვევას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა ზარალის ოდენობა 1 მილიონ ევროს სცილდება.

*mainfun.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ჩვენი ლექციის შემდეგი საკითხია: „ნათესაური კავშირების გავლენა კორუფციაზე“. აბა, კოტე, გისმენთ.

– არ მისწავლია...

– კარგი, დაჯექი, ხუთიანი!

– დიდი მადლობა, მამა...

*****



ცოლი ქმარს:

– საყვარელო, შენთვის ორი ამბავი მაქვს: კარგი და ცუდი... რომლით დავიწყო?

– მოდი, ცუდით დაიწყე.

– შენი „ბეემვე“ დავამტვრიე...

– და კარგი რაღაა?!

– მეტს აღარ ვიზამ...

*****

მაღაზიაში:

– გამარჯობათ! მომეცით, თუ შეიძლება, 3 ყუთი არაყი, 50 ლიტრი ლუდი, 5 ყუთი მარტინი და 30 კოლოფი პრეზერვატივი...

– აგერ, ინებეთ.

– დიდი მადლობა!..

– ახალგაზრდა, ერთი წუთით!

– რა გნებავთ?

– მეც გამიყოლეთ!..

*****

მეტროს ვაგონი გადაჭედილია. მამაკაცი გვერდით მდგომ ქალს მიმართავს:

– ქალბატონო, თქვენგან მარჯვნივ ხელის მოსაკიდია და სჯობია, მას დაეყრდნოთ.

– მადლობა, უკვე ვიპოვე ხელის მოსაკიდი!

– ვიცი, მაგრამ შემდეგ გაჩერებაზე ჩავდივარ...

*****

– ალო, ფსიქიატრიულია?

– დიახ.

– მიშველეთ, გეთაყვა, ავტომობილი მომპარეს.

– ჰო, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ, პოლიციას მიმართეთ!

– საქმე ისაა, რომ ვილაცამ 1982 წელს გამოშვებული „ზაპოროჟეცი“ მომპარა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მინი კაბის ჩაცმის გამო საკუთარი... შვილის მოკვლა შეუკვეთა



სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა ემიგრანტმა ორი მკვლელი იმისთვის დაიქირავა, რომ შური საკუთარ 21 წლის ქალიშვილზე ეძია.

როცა რუსმა სამართალდამცველებმა მკვლელობის დამკვეთი დააკავეს, ის იძულებული გახდა, შოკისმომგვრელი სიმართლე ეღიარებინა და ეთქვა, რომ შვილის ჩაცმულობის სტილი იმდენად აღიზიანებდა, მისი მოკვლა გადაწყვიტა.

– მე თვითონ ვერ შევძელი, მაინც შვილია, ხომ გესმით(!), ამიტომ გადავწყვიტე, საქმე დაქირავებული მკვლელებისთვის მიმენდო, – ასეთია აზერბაიჯანელი მამაკაცის ჩვენების მოკლე შინაარსი, რომლის ვინაობა, გასაგები მიზეზების გამო, არ ზუსტდება.

სამწუხაროდ, 21 წლის გოგონას სიცოცხლის გადარჩენა ვერ მოხერხდა, რადგან ქილერებმა ის ქალაქგარეთ გაიტაცეს და ტყვია შიგ შუბლში დაახალეს, თუმცა, საბედნიეროდ, მოხერხდა მათი დაკავება და შავ-ბნელ საქმეს ნათელი ასე მოეფინა.

მკვლელობის შესრულებისთვის ქილერებმა 100 ათასი რუბლი აიღეს, რომელსაც ვერასოდეს დახარჯავენ, რადგან დამქირავებელთან ერთად, მათ სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ.

*gazeta.ua*

## ჩინოვნიკის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზი... მრავალშვილიანობა გახდა



მოგეხსენებათ, რამდენად მტკივნეულად განიხილავენ ჩინელები მრავალშვილიანობის საკითხს და თუ გახსოვთ, ისიც მოგიყევით, რომ იქაური ხელისუფლება რეპროდუქციულად აქტიური 10 ათასამდე ახალგზარდის სტერილიზაციასაც აპირებს. ახალი ამბავი კი ამავე თემაზე იმას გვიყვება, რომ მრავალშვილიანობის გამო იქაურ პოლიტიკოსს საკმაოდ მაღალი თანამდებობის დაკარგვა მოუწია.

როგორც ირკვევა, ქალაქ იულინის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანს კანონიერ მეუღლესთან სამი ქალიშვილი ჰყოლია, საყვარელს კი მისთვის ქალ-ვაჟიც გაუჩენია.

თურმე, სამიდან ორი ქალიშვილი კინ ჰუაივენს გაფორმებული ჰყოლია, როგორც დები, უკანონო შვილებს კი არ აღიარებდა.

საბოლოო ჯამში, ჰუაივენის ოპონენტებმა იმდენი ქნეს, რომ ყველაფერს ნათელი მოჰფინეს და ჩინოვნიკს მაშინვე სასამართლოში უჩივლეს.

გარდა იმისა, რომ კინ ჰუაივენმა თანამდებობა დაკარგა, კანონის დარღვევის გამო, მას ან დააპატიმრებენ, ან კიდევ, სოლიდური ჯარიმის გადახდას დააკისრებენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*mainfun.ru*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**13 თებერვალი:** დღეს წინა პლანზე წამოიწევს ოჯახის მოთხოვნილებები. ამის მიუხედავად, ეს არანაირად არ შეგიშლით ხელს მუშაობაში, პირიქით, ენთუზიაზმით აივსებით.

**კურო 22.04-21.05**
**13 თებერვალი:** ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობა გაგიჭირდებათ. ამიტომ, თუ რამე სერიოზულის გაკეთებას გეგმავთ, მარტო იმოქმედეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**13 თებერვალი:** დღეს, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებასთან დაკავშირებით პრობლემები არ უნდა გაგიჩნდეთ. ისინიც კი დაგიდგებიან გვერდში, რომ ვერ წარმოიდგენდით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**13 თებერვალი:** შეიძლება ისეთი საკითხის მოგვარების პროცესში ჩაგითრიონ, რასთანაც შეხება არ გაქვთ და ეს მოულოდნელ შედეგებს გამოიწვევს. შეიძლება თქვენი ინტერესები კარდინალურად შეიცვალოს.

**ლომი 23.07-22.08**
**13 თებერვალი:** შეიძლება წყლის ასტროლოგიური ნიშნის მქონე ადამიანმა თავისი პრობლემების მოყოლით დაგამძიმონ. ასე რომ, ნაცნობ „კირჩხიბებს“, „თევზებსა“ და „ღრიანკალებს“ ერიდეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**13 თებერვალი:** შეეცადეთ, მაქსიმალურად თავშეკავებული და ტაქტიანი იყოთ. შეიძლება სულ მცირე გაღიზიანების გამოც კი საკმაოდ აგრესიული გახდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**13 თებერვალი:** არ არის გამორიცხული, ვიღაცის დაკვირვების ქვეშ აღმოჩნდეთ. შეეცადეთ, ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რაც თქვენს კომპრომეტაციას გამოიწვევს.

**მორიელი 23.10-21.11**
**13 თებერვალი:** დღეს ძალისმიერი მეთოდებით შედეგს ვერ მიაღწევთ, ტყუილად ენერგიას დახარჯავთ. თუ სხვანაირად მოქმედება არ შეგიძლიათ, უმჯობესია, დაიცადოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**13 თებერვალი:** შეიძლება დღეს რაღაცასთან შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევა მოგიწიოთ. ეს დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, მომავალი ბრძოლებისთვის გამოიწრთობით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**13 თებერვალი:** მაქსიმალური სიფრთხილე გმართებთ, დაუდევრობა შეიძლება ძვირად დაგიჯდეთ. ალბათ, უსიამოვნებას ძნელად, მაგრამ მაინც დააღწევთ თავს. ეს თქვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს.

**მერწყული 20.01-18.02**
**13 თებერვალი:** დღეს კარგი მეგობარი ძალიან გამოგადგებათ. თუ შესაძლებელია, ის წინასწარ გააფრთხილეთ, რადგან დიდ დროს წაართმევთ.

**თევზები 19.02-20.03**
**13 თებერვალი:** შეეცადეთ, დღეს კეთილი და გულისხმიერი იყოთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ, რა ხდება თქვენს გარშემო. აკრძალულ ადგილას გზა არ გადაკვეთოთ.

## იუპიტერის თანამგზავრი მილიონობით ტონა... თევზითაა სავსე?



არიზონას შტატის უნივერსიტეტის პლანეტოლოგების ვარაუდით, იუპიტერის თანამგზავრი ევროპის წყლები, შესაძლოა, იმდენად მდიდარი იყოს ჟანგბადით, რომ იქ მილიონობით ტონა თევზი ბინადრობდეს.

ცხადია, დანამდვილებით ამას ვერავინ დაამტკიცებს, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ ევროპის დალაშქვრა არ მოხდება, თუმცა ჰიპოთეზა მაინც საინტერესოა და იქნებ, მასში სიმართლის მარცვალიც ერიოს?

სპეციალისტების განმარტებით, ევროპა, რომელიც თავისი ზომებით ძალიან წააგავს მთვარეს, ერთიანად ოკეანითაა დაფარული, რომლის სიღრმე 160 კილომეტრს შეადგენს და რამდენიმე კილომეტრის სისქის მქონე ყინულის საფარითაა შემოსილი. მეცნიერები ამბობენ იმასაც, რომ, რაც უფრო ბევრ ინფორმაციას იღებენ იუპიტერის ზემოქმედებაზე, რომელსაც ის თავის თანამგზავრებზე ახდენს, მით უფრო რწმუნდებიან, რომ ევროპაზე სიცოცხლე აუცილებლად უნდა არსებობდეს.

– ევროპის ყინულის გარსი, როგორც ეს გაყინულ წყალს სჩვევია, ჟანგბადისგან და წყალბადისგან შედგება, იუპიტერის მუდმივი რადიაციული გავლენა კი თავისუფალი ჟანგბადისა და სხვა ოქსიდანტების წარმოქმნას განაპირობებს, – განმარტავენ ამერიკელი პლანეტოლოგები ახალი კვლევის ჩატარების შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით. ამასთანავე, ახალი კვლევა იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ რამდენიმე მილიარდწლიანი ზემოქმედება, რაც ევროპის ჟანგბადით მომარაგებაში გამოიხატება, სავსებით შესაძლებელს გახდიდა, იქ სიცოცხლისთვის საჭირო პირობები ჩამოყალიბებულიყო.

– კვლევა გრძელდება და იმედია, ევროპა ბევრ ახალ, ამ დრომდე უცნობ მოვლენას უფრო ახლოს გაგვაცნობს, – იმედოვნებენ ამერიკელი მეცნიერები.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– წარმოგიდგენია – გუშინ მეტროთი ვმგზავრობდი და ვაგონში რომ შევედი, ერთდროულად სამმა ადამიანმა დამითმო ადგილი?!
– მერე, რა ქენი, დაეტიე?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457

კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.40

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.